Before long there occurred a change in the attitude of European researchers to Rustaveli. Changes are noticeable even within the writings of an individual researcher. Thus, the well-known Kartvelologist G. Deeters gradually gained an insight into the literary and ideological world of *The Man in the Panther's Skin*. In 1937, in discussing Sh. Nutsubidze's monograph *On Rustaveli's Weltanschauung*, Deeters perceives the greatness of Rustaveli's poetry, but he prefers to be moderate in assessing it, and is against referring to it alongside the greatest representatives of world literature, in particular Dante. In his view the form of *The Man in the Panther's Skin* and its expressive side is very high, the poem's ideological world falls short. This view - though in somewhat modified form - was repeated by the researcher in 1958 in discussing Hugo Huppert's German translation of Rustaveli's poem. In his last essay on Georgian literature, published in 1963, he already speaks of the national epic or Rustaveli's poem - without the above reservations.

European Kartvelology did succeed in gaining a proper insight into Rustaveli's great poetic art, and its correct interpretation and appraisal. It is noteworthy that in European Kartvelology the foreign translators of Rustaveli's poem were the first to perceive Rustaveli's high poetic world and to give a correct assessment of his considerable

ideological and literary work. This was done by those who studied the poem in the original and attempted to render it in their own native language. In this respect highly important was the contribution made by Marrie Brosset, the first European student of Rustaveli's poem. As noted above, the French Kartvelologist made a scholarly study of Rustavelological problems, considering *The Man in the Panther's Skin* one of the best works of European literature. The work of Bertha and Arthur Suttner on the translation of the text of Rustaveli's poem was followed by Arthur Suttner's essay "A Foreigner's View on *The Man in the Panther's Skin*" (Tbilisi 1884). The researcher considers Rustaveli the initiator of the romance genre in Europe. In the Foreword to the first edition of his translation of the poem into German, Arthur Leist draws a parallel with Rustaveli's contemporary European chivalrous epic, viz. Wolfram von Eschenbach's *Parzival*, noting that Rustaveli is relatively more free from religious constraints. Marjory Wardrop, the first translator of *The Man in the Panther's Skin* into English, also had a clear conception of the greatness of Rustaveli's poetry. It should be noted that she, together with her brother Oliver, inspired the Russian poet Konstantin Balmont with the universal ideals of Rustaveli's poetry so as to have him make a brilliant translation of the poem, supplementing it with a remarkable study, *The Great Italians and Rustaveli* in which scholarly parallels were drawn for the first time between Rustaveli's work and the great representatives of the Italian Renaissance (Paris 1933).

Both the depth of the ideological and content aspect of the poem and its highly artistic skill are duly appreciated in A. Baumgartner's two-volume *History of World Literature* (1897). In his *Literature of the Christian East* (1911) A. Baumstark states clearly that Rustaveli has no equal in the Christian literature of the entire East. The German researcher R. Miller-Budnitskaya attempts to discuss Rustaveli's work against the background of the world literary process. In her study, *Shota Rustaveli - A Georgian Dante*, she

declares the epoch of Rustaveli that of the Georgian Renaissance (Moscow 1937). R. Bleichsteiner considers *The Man in the Panther's Skin* not only a masterpiece of Georgian literature but also a great phenomenon in world literature (Wien 1950). Hugo Huppert, the translator of *The Man in the Panther's Skin* into German, calls Rustaveli a classic of the Early Renaissance period (Berlin 1955).

The English literary historian Morris Bowra marked a new stage in European Kartvelology with regard to the study of Rustaveli's work. He studied Rustaveli in the context of Eastern and Western literatures - against the background of masterpieces of world literature (London 1955). In this he continued and specified K. Karst's earlier attempts who looked for parallels of Rustaveli in the works of Ariosto and Tasso, Dante, Bonaventura, and Wolfram von Eschenbach (Paris 1934). In his paper Stevenson accentuated Rustaveli's originality, largely in relation to Ariosto (1959).

The status of the research into *The Man in the Panther's Skin* in Georgia finds consistent reflection in foreign Rustvelological literature. Thus, for example, Bowra's study of Rustaveli's poem is based on Sh. Nutsubidze's view who saw in *The Man in the Panther's Skin* Neoplatonic trends and pantheistic elements. The discussion of Rustvelological problems in French literary criticism in connection with S. Tsouladze's translation of the poem (Paris 1966) and his study *Connaissance de Roustaveli* (1966) published in Tbilisi, was mainly based on Nutsubidze's views. The new tendencies arising in Georgian Rustvelological literature in the 1960s appeared in foreign literature on Rustaveli in the late '70s, viz. the relation of the roots of Rustaveli's Weltanschauung to the development of 12th-century scholastic thought. References to Christian and Islamic culture, on the one hand, and to theological and classical thought, on the other, were noticed. This novel stand is seen well in Cyril Toumanoff's Introduction to Teimuraz Bagrationi's booklet on Shota Rustaveli published in New York in 1968.

A new trend seems to be developing in modern Western literary criticism, viz. Rustaveli's poetry is discussed not only by foreign scholars interested in Georgian literature but, in general, by researchers interested in the European literary process. Notable in this respect is G. K. Beynen's paper on *Shota Rustaveli and the Structure of Courtly Love*, presented at the Eighth Triennial Congress of the International Courtly Literature Society, Belfast 1995. In Beynen's view, the courtly love structure of Rustaveli's poem, which, in his words, "is undoubtedly a masterpiece", corresponds to the highest stage of development of courtly literature.

The assessment of Rustaveli's work continues in an ascending line in the latest European literary criticism. In this respect Donald Rayfield's *The Literature of Georgia. A History* (Oxford, 1994) merits special notice. In general, this book is one of the best attempts at conceptualising and discussing the centuries-old process of Georgian literature by a foreigner. Many sections of the monograph are interesting from various points of view. Superb among them is the review of Georgian church lyrics or hymnography. Along with an original treatment of the rich Georgian church poetry, the author presents his own poetic translation of the best examples of Georgian original hymnography. The English author's discussion of the problems of *The Man in the Panther's Skin* is fairly comprehensive, covering the subject of the poem, the theoretical views presented in the Prologue, the nuances of the author's Weltanschauung and religious stance, and the literary sources. He notes also that "Rustaveli's outspokenly fresh ideas set him apart from his sources", and so on. At the same time, it is symptomatic that Rayfield, too, continues the tendency, characteristic of European literary criticism, to separate *The Man in the Panther's Skin* from the recognised masterpieces of world literature. The author speaks of "the eccentricities of plotting and thinking and the specifically personal and national traits of this eclectic work", concluding that "*The Knight in the Panther's Skin* is first and foremost a national, rather than an

international masterpiece, for it lacks the driving conviction on the human predicament that informs Dante or Shakespeare. Yet Rustaveli's poem is for Georgians what Dante's *Divina Commedia* is for Italians" (p.81).

It is hard to contradict the English Kartvelologist's statement on the eclecticism of Rustaveli's poem and the eccentricities of its plotting, or to accept, for the researcher does not discuss and argue his views. On another plane, Rayfield's view on *The Knight in the Panther's Skin* not being an international masterpiece because "it lacks the driving conviction on the human predicament that informs Dante and Shakespeare" is an original idea which, I believe, calls for a comment. The question may be asked whether it is right to turn the philosophical thesis of human predicament, valid per se, into a cornerstone of universal literary thought and to reduce the highest criterion of assessing the literary creations of all epochs, religious positions and philosophical orientations to the presence or absence of this thesis? Does not a search for such a position in a literary work of all times stem from our subjective attitudes to the world's literary masterpieces? Or is it not, at best, an assessment of the thinking of past epochs from the standpoint of our contemporary epoch? Can mankind's striving to unravel the mystery of being/non-being be reduced to this single thesis? Can optimism, struggle against adversity, striving to salvage life, beauty and love be excluded from the highest ideals of human existence? A negative answer to these questions would seem to come from a subjective factor, being unacceptable from the viewpoint of the wide spectrum of the multifaceted human existence. Neither would it be right to fail to notice human predicament in *The Man in the Panther's Skin* and to reduce the entire philosophical credo of the poem to blind optimism. In Rustaveli's poem the traditional ideal - the eternity of the good and graceful Creator, the belief in the immortality of the soul and its merger with the infinite deity in the other world - blends harmoniously, without contradictions, with the perception of the

reality value of this world, conviction of the beauty of the human world, and trust in human reason (See E. Khintibidze, *The Mediaeval and the Renaissance Trends in The Man in the Panther's Skin*, Tbilisi 1993). This harmony is not eclecticism but a manifestation of the world view of a definite period in European civilisation - of a world view that may be most optimal from the position of human predicament.

Yet, I think the European Kartvelologist's thesis on *The Man in the Panther's Skin* being "first and foremost a national, rather than an international masterpiece" is correct from a definite point of view. The point is that beginning with the second half of the 13th century the cutting-off of Georgia from the mainline of the process of European civilisation closed Rustaveli's lofty poetic and ideological Weltanschauung in the circumscribed Georgian world. Unlike Dante and Shakespeare, Rustaveli did not influence the development of European thought over the centuries. Georgian social, philosophical and literary thought proper drew on *The Man in the Panther's Skin*. In this respect Rustaveli's poem is indeed a national literary masterpiece.

Elguja Khintibidze

„ვეფხისტყაოსნის“ შეფასება
ვეროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში

ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის ყოველთვის ითვლებოდა მაღალი პოეტური და ბრძნული აზროვნების ნიმუშად. ამას მოწმობენ XV საუკუნის დასაწყისიდან ხელნაწერთა აშიებზე თუ მაგერიალური კულტურის სხვა ძეგლებზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფების მინაწერები; ქართველ მწერალთა გამონათქვამები რუსთაველზე; და ისიც, რომ XV საუკუნიდან XVII საუკუნის ჩათვლით მთელი ქართული პოეზია პოეტური ხელოვნებით (სალექსო მომით, ჟანრობრივი თავისებურებებით, მხაგრული სახეებით) რუსთაველის მიბაძეა. როგორ იყო რუსთაველის შემოქმედება გასულ საუკუნეებში მიღებული და შეფასებული საზღვარგარეთ, კერძოდ, დასავლეთევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში, და როგორია მისდამი დამოკიდებულება ჩვენი თანამედროვე უცხოელი ქართველოლოგებისა? ამ კითხვის დასმა შესაძლებელი ხდება იმ დიდი მუშაობის შემდეგ, რაც ევროპული ლიტერატურათმცოდნეობის შესასწავლად ჩაატარეს ქართველმა მეცნიერებმა. აქ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთაველის კაბინეტის მიერ გამოცემული ოთხტომიანი „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (პროფ. ლ. მენაბდის რედაქციით, 1975-84 წწ.). არსებითი მაინც ის მრავალწლიანი მუშაობაა, რაც ჩატარდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიური ცენტრის ბაზაზე შესაქმნელად მონოგრაფიისა „ქართული ლიტერატურის შესწავლა ევროპაში“ სათანადო ბიბლიოგრაფიებითურთ.

ევროპული ლიტერატურათმცოდნეობისათვის არ იყო ადვილი „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრად აღიარება. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. რუსთაველის სახელი XIX საუკუნემდე საერთოდ უცნობი იყო ევროპისათვის. მისი პოემა ასე თუ ისე მისაწვდომი ევროპელი ლიტერატურათმცოდნეებისათვის XIX საუკუნის დამლევებიდან გახდა (არტურ ლაისტისა და მარჯორი უორდროპის თარგმანების შემდეგ). ბუნებრივია, რომ თარგმანი ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას იმ მაღალ მხაგრულ ოსტატობასა და პოეტურ სამყაროზე, რაც ყველაზე არსებითია რუსთაველის პოეზიაში.

ასევე რთული აღმოჩნდა ლიტერატურათმცოდნეებისათვის აღმოსავლური გრადიციების ფონზე შექმნილი შუასაუკუნეების რომანში იმთავითვე ამოკითხულიყო ის შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული და რენესანსული ზოგადსაკაცობრიო იდეალები, რაც ქმნის რუსთაველის აზროვნების თავისთავადობას. ამიგომაა, რომ ზოგი ევროპელი ლიტერატორის ნაწერებში შეუფასებლობა რუსთაველის პოეტური გენიისა აშკარად იგრძნობა. ზოგჯერ ეს მომენტი არა თუ საგრძნობია, არამედ „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ნარკვევის ძირითადი იდეაა. ასე მაგალითად, 1886 წელს ქ. თბილისში რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ ფრანგულ ენაზე ნარკვევს აქვეყნებს სახალხო განათლების ოფიცერი ე. მურიე. მისი ნარკვევი მეორედ გამოქვეყნდა პარიზში 1887 წელს, ხოლო მესამედ ბრიუსელში 1910 წელს. ე. მურიეს ნაშრომი მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. იგი ყურმოკრული გადმოცემებით შედგენილი რუსთაველის ბიოგრაფიით იწყება და მთავრდება ასევე ყურმოკრული ჭორით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მკვებარში გადაყრის შესახებ. მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავტორი არ ფარავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას პოემის შინაარსობრივი და მორალური სამყაროსადმი. უკვირს, რატომ მოსწონთ ქართველებს ასე ძლიერ რუსთაველი და რატომ ცდილობენ თარგმნონ იგი ფრანგულად. ამით ხომ ფრანგებს დაანახებენ „ვეფხისტყაოსნის“ ქების უსაფუძვლობას?! ე. მურიეს აღიზიანებს პოემის გიპაკი: ჭარიელის გახელება, ავთანდილის „სიცივე და ცბიერება“, ნესტანის „დაუნდობლობა“, ფაგმანის მსუბუქი ყოფაქცევა. გამოკვლევის ავტორს არ მოსწონს პოემის პიპერბოლიზებული ტონი, სიუჟეტის განვითარების აღმოსავლური სტილი. ასე რომ, მურიეს შეხედულებები არის ევროპელი მკითხველის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობის შედეგად XIX საუკუნის ევროპული რომანის ფონზე შექმნილი სუბიექტური შთაბეჭდილებანი. ე. მურიე ვერ უცქერის პოემას მკვლევარი-ფილოლოგის პომიცინიდან: არ ფიქრობს შუასაუკუნეების პრობლემატიკაზე, არ იცნობს აღმოსავლურ პოეტურ სტილს და სხვა. მაგრამ ბუნებრივია, რომ დაახლოებით ამგვარი უნდა ყოფილიყო ევროპელი მკითხველის პირველი შთაბეჭდილებანი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობისას, სანამ ეს შთაბეჭდილებანი არ ამადლებოდა პოემის ისტორიზმის პრინციპით შესწავლამდე.

ე. მურიეს შეხედულებები არაა აბსოლუტური გამონაკლისი. ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჩანს, მართალია უფრო თავ-

შეკავებული, მაგრამ მაინც სკეპტიკური დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი იდეური და მხაგერული სამყაროსადმი. გერმანელი მეცნიერი ი. შერი ერთ-ერთი პირველია, რომელსაც ქართული კულტურის მიმოხილვა შეაქვს მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიის კურსში (შტუდგარტი, 1899). იგი ახსენებს რუსთაველს, რომელიც თამარის სამეფო კარის პოეტი. მან შექმნა რომანტიკული ეპოსი, რომელიც, ი. შერის სიტყვებით თუ ვიცყვით, „რა თქმა უნდა, დიდი საზომით არ უნდა იქნეს გამოძილი“.

ამგვარი კომენტარება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეის ან ცალკეული პასაჟებისა არ შეიძლება აიხსნას რუსთაველის შემოქმედებისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. ამ დებულების საუკეთესო დამამტკიცებელია ოლივერ უორდროპი, რუსთაველისა და ქართული ფენომენის საოცარი თაყვანისმცემელი, რომელმაც თავისი ეს უზომო მოწიწება „ვეფხისტყაოსნისადმი“ საკუთარ დასთან მარჯორისთან ერთად მთელი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით დაადასტურა და რომელსაც რუსთაველზე 1938 წელს სორბონში რუსთაველისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის მონახაზში ჩაუწერია: „ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ, შაბათს, 19 თებერვალს, 1887 წელს, როდესაც მე ვიხილე პოეტის [რუსთაველის - ე. ხ.] პორტრეტი წმინდა ჯერის მონასტერში იერუსალიმის მახლობლად, ძალიან მცირე წარმოდგენა მქონდა, თუ როგორ დიდ როლს ითამაშებდა იგი ჩემს ცხოვრებაში, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მე უფრო მეტი დრო მოვახმარე მისი პოემის კითხვას, ვიდრე რომელიმე სხვა პოემისა და ერთმა ჩემმა უახლოესმა ნათესავმა [მარჯორი უორდროპმა — ე. ხ.] მთელი სიცოცხლე მიუძღვნა, რომ შემოეგანა მისი ნაშრომი ინგლისელი მკითხველის ცნობიერებაში“ (ბოლლის ბიბლიოთეკა, უორდროპის ფონდი — d. 39). ო. უორდროპი მარჯორი უორდროპის თარგმანის პირველი გამოცემის წინასიტყვაობად დართულ თავისი მაღალი ლიტერატურული კულტურითა და პოემის ბრწყინვალე ცოდნით შესრულებულ ნაშრომში დაუფარავად წერს, რომ ინგლისელი მკითხველი ვერ აღიქვამს რუსთაველისეულ პიპერბოლურობას პოემის გმირთა გაყრით გამოწვეული ნაღველის აღწერისას და გმირთა სიღამაზის ასტრალური მეგაფორებით გადმოცემისას. თუმცა ინგლისელ კრიტიკოსს თვითონვე აქვს შენიშნული, რომ სულიერ მღელვარებათა გადაჭარბებით გამოხატვა თვით დასაველეთეეროპულ და კერძოდ ინგლისურ ლიტერატურას

მეთვრამეგე საუკუნის ჩათვლით ახასიათებდა. აქვე მკვლევარი საჭიროდ მიიჩნევს შენიშნოს, რომ მორალური პოზიციიდან მიუღებელია პოემის გმირთა მოქმედების რამდენიმე ეპიზოდი, კერძოდ, ავთანდილისაგან ჭაშნაგირის მოკვლა, ფაგმანთან გამიჯნურება და გარიელის მიერ სასიძოს მოკვლა. ცდილობს მიიჩნიოს ისინი სიუჟეტის განვითარებისათვის აუცილებელ ელემენტებად. ო. უორდროპის ამ უაღრესად საინტერესო მსჯელობაში ორი მომენტია მნიშვნელოვანი: მკვლევარი მიუთითებს, რომ იგი მსჯელობს თავისი თანამედროვე ინგლისელი მკითხველის პოზიციიდან, და აღნიშნავს, რომ რუსთაველისეული პიპერბოლური სტილი საზოგადოდ დამახასიათებელია ძველი ლიტერატურისათვის.

სხვა უცხოელი მკვლევარები რუსთაველის შემოქმედებაზე გამოთქმული შენიშვნების ახსნას არ ცდილობენ. გერმანელი მკვლევარი ფ. ბორკი (ლაიპციგი, 1915), ისევე როგორც ფრანგი ე. მურიე, „ვეფხისტყაოსნის“ აუასებს თავისი თანამედროვე ლიტერატურული სტილის პოზიციიდან. მას არ მოსწონს, რომ პოემის გმირები იდეალიზებული არიან და არა სინამდვილიდან აღებული. მისი აზრით, რუსთაველი არაა მოაზროვნე პოეტი და ამდენად, პოემაში ღრმა აზრები არ უნდა ვეძიოთ.

გარდაგება რუსთაველის მიმართ ევროპელ მკვლევართა დამოკიდებულებაში მალე მოხდა. რუსთაველის პოემის შეფასებაში ცვლილებები შეინიშნება თვით ერთი მკვლევარის შემოქმედებითი პროცესის ფარგლებშიც. ასე მაგალითად, ცნობილი ქართველოლოგი გ. დეეტერსი თანდათანობით წვდება „ვეფხისტყაოსნის“ მხაგერული იდეურ სამყაროს. 1937 წელს შ. ნუცუბიძის მონოგრაფიის „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“ განხილვისას იგი ხელავს რუსთაველის პოემის სიდიდეს, მაგრამ ამჯობინებს იყოს მომიერი მის შეფასებაში და წინააღმდეგია მისი მოხსენიებისა მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა, კერძოდ დანტეს გვერდით. გ. დეეტერსის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ფორმა, მისი გამომსახველობითი მხარე ძალზე მაღალია, მაგრამ მას ჩამორჩება პოემის იდეური სამყარო. ეს თვალსაზრისი, თუმცა ცოცხალი უფრო მოკრძალებით, მკვლევარმა გაიმეორა 1958 წელს „ვეფხისტყაოსნის“ პუგო პუპერტისეული გერმანული თარგმანის განხილვისას. მაგრამ 1963 წელს გამოცემულ უკანასკნელ ნარკვევში ქართულ ლიტერატურაზე იგი უკვე ლაპარაკობს ქართულ ნაციონალურ ეპოსზე ანუ რუსთაველის პოემაზე შემოთ მითითებული შენიშვნების გარეშე.

ევროპულმა ქართველოლოგიამ შეძლო რუსთაველის დიდი პოეტური ხელოვნების სათანადოდ დანახვა, სწორად გააზრება და შეფასება. ნიშანდობლივია, რომ რუსთაველის მაღალი პოეტური სამყაროს სათანადოდ აღქმა, მისი იდეურ-მხატვრული შემოქმედების სწორი შეფასება ევროპულ ქართველოლოგიაში თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ უცხოურად მთარგმნელებმა შეძლეს. სწორედ მათ, ვინც ორიგინალში შეისწავლა პოემა და მისი მშობლიურ ენაზე ამეცხველებმა სცადა. ამ მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია რუსთაველის პოემის პირველი ევროპელი მკვლევარისა და მთარგმნელის მარი ბროსეს დამსახურება. ფრანგი ქართველოლოგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერულად ამუშავეს რუსთაველოლოგიურ პრობლემატიკას და „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად. ბერგა და არგურ ზუგნერების მიერ რუსთაველის პოემის გეჟსტის თარგმნაზე მუშაობას თან მოჰყვა ა. ზუგნერის გამოკვლევა „უცხოელის ამრი „ვეფხისტყაოსანზე“ (1884 წ.). მკვლევარი რუსთაველს თელის ევროპაში რომანის ჟანრის დამწყობად. პოემის გერმანულ ენაზე მთარგმნელი ა. ლაისტი პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში პარალელს ავლებს რუსთაველის თანამედროვე ევროპულ სარაინდო ეპოსთან, კერძოდ, ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალთან“ და იმასაც შენიშნავს, რომ რუსთაველი ეშენბახთან შედარებით უფრო თავისუფალია რელიგიური ჩარჩოებისაგან. ასევე ნათლად კქონდა გააზრებული რუსთაველის პოემის სიღიადე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ინგლისური თარგმანის ავტორს, მარჯორი უორდროპს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან თავის ძმასთან, ოლივერ უორდროპთან ერთად რუსთაველის პოემის მოგადსაკაცობრიო იდეალებით შთააგონა რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი იმდენად, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე რუსული თარგმანი და უძღვნა მას შესანიშნავი გამოკვლევა „დიდი იგალიელები და რუსთაველი“, რომელშიც პირველად გაივლო მეცნიერული პარალელები რუსთაველის შემოქმედებასა და იგალიური რენესანსის დიდ წარმომადგენლებს შორის (პარიზი, 1933 წ.). პოემის როგორც იდეურ-შინაარსობრივი სიღრმე, ასევე მაღალი მხატვრული ოსტატობა სათანადოდაა შეფასებული ა. ბაუმგარტნერის „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულში ჯერ კიდევ 1897 წელს. ა. ბაუმგარტი თავისი „ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურაში“ (1911 წ.) გარკვევით აცხადებს, რომ რუსთაველის ბადალი მთელი აღმოსავლეთის ქრისტი-

ანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება. რუსთაველის შემოქმედების განხილვას მსოფლიო ლიტერატურის პროცესის ფონზე ცდილობს გერმანელი მკვლევარი ქალი რ. მილერ-ბუდნიცკაია. იგი აქვეყნებს ვრცელ გამოკვლევას „ვეფხისტყაოსანზე“ სათაურით „შოთა რუსთაველი - ქართველი დანგე“. რუსთაველის ეპოქას იგი ქართული რენესანსის ეპოქად აცხადებს (მოსკოვი, 1937 წ.). რ. ბლაიხშგაინერი „ვეფხისტყაოსანს“ თელის არა მარტო ქართული მწერლობის შედეგად, არამედ მსოფლიო ლიტერატურის დიდ მოვლენად (ვენა, 1950). რუსთაველს ადრე რენესანსის ეპოქის კლასიკოსს უწოდებს „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი (ბერლინი, 1955).

ევროპულ ქართველოლოგიაში რუსთაველის შემოქმედების შესწავლაში ახალ ეტაპს ქმნის ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე მორის ბაურა. იგი „ვეფხისტყაოსანს“ იხილავს აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურების შედეგების ფონზე (ლონდონი, 1955 წ.). ამ მიმართულებით იგი აგრძელებს კ. კარსტის ცდებს, რომელიც რუსთაველის პარალელებს ეძიებს არიოსტოსა და გასოს, დანგესა და ბონავენტურას, ვოლფრამ ფონ ეშენბახის შემოქმედებებში. თუმცა ამავე დროს ხედავს რუსთაველის თავისთავადობას და განსხვავებას მათგან (პარიზი, 1934). რუსთაველის თავისთავადობის აქცენტირება აქცია თავისი კვლევის საგნად რ. სტივენსონმა, უპირატესად არიოსტოსთან მიმართებაში.

საზღვარგარეთულ რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში თანმიმდევრულად აისახება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის მდგომარეობა საქართველოში. ასე მაგალითად: მ. ბაურას გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე“ ეფუძნება შ. ნუცუბიძის თვალსაზრისს, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ნეოპლატონურ ფილოსოფიასა და პანთეისტურ ელემენტებს ხედავდა. ჩვენი საუკუნის 60-იანი წლების დამლევის საზღვარგარეთულ ლიტერატურაში რუსთაველის შესახებ გამოჩნდა ის ახალი ტენდენციები, რაც 60-იან წლებში ჩაისახა ქართულ რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში. კერძოდ, რუსთაველის მსოფლმხედველობის ძირების მიმართება XII საუკუნის სქოლასტიკური აზროვნების განვითარებასთან. დანახვა პოემაში, ერთი მხრივ, ქრისტიანული და ისლამური კულტურების და მეორე მხრივ, თეოლოგიურ და ანტიკურ აზროვნებათა მიმართებებისა. ეს ახლებური პოზიცია კარგად ჩანს კირილ თუმანოვის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც შესავლის სახით ერთვის თეიმურაზ

ბაგრატიონის 1968 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ბროშურას შოთა რუსთაველზე.

თანამედროვე დასავლურ ლიგერაგურათმცოდნეობაში შეინიშნება, რომ რუსთაველის პოეზიაზე წერენ არა მხოლოდ ქართველოლოგები ან ქართული ლიგერაგურით დაინტერესებული უცხოელი მეცნიერები, არამედ საზოგადოდ ევროპული ლიგერაგურის პროცესის მკვლევარნი. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკელი მეცნიერის გ. კ. ბეინენის სტატია „შოთა რუსთაველი და კურტუამული სიყვარულის სტრუქტურა“, წარმოდგენილი კურტუამული ლიგერაგურის საერთაშორისო საზოგადოების მერვე კონგრესზე ბელფასტში 1995 წელს. გ. კ. ბეინენის ამრით, რუსთაველის პოემის (რომელიც, მისი სიტყვით, „უდავოდ შედევრია“: „the poem is undoubtedly a masterpiece“) სარაინდო სიყვარულის სტრუქტურა კურტუამული ლიგერაგურის განვითარების უმაღლეს ეტაპს შეესაბამება.

უახლეს ევროპულ ლიგერაგურათმცოდნეობაში გრძელდება რუსთაველის შემოქმედების შეფასების აღმავალი ხაზი. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია 1994 წელს ოქსფორდში გამოცემული დონალდ რეიფილდის წიგნი „საქართველოს ლიგერაგურა. ისტორია“. საზოგადოდ ეს წიგნი უცხოელის მიერ ქართული ლიგერაგურის მრავალსაუკუნოვანი პროცესის ერთ მთლიანობაში გააზრებისა და განხილვის ერთი საუკეთესო ცდაა. მრავალმხრივია საინტერესო მონოგრაფიის ბევრი ქვეთავი. მათ შორის საუკეთესო მათგანია ძველი ქართული სასულიერო ლირიკის - ჰიმნოგრაფიის მიმოხილვა. ავტორი არა მარტო ახლებურად მსჯელობს უმდიდრეს ქართულ სასულიერო პოეზიაზე, არამედ ძველი ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშების საკუთარ პოეტურ თარგმანებსაც აქვეყნებს. ინგლისელი ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკასაც შედარებით სრულად მიმოხილავს. იგი საუბრობს პოემის სიუჟეტზე, პროლოგში ჩამოყალიბებულ თეორიულ შეხედულებებზე, ავტორის მსოფლმხედველობასა და რელიგიური პოზიციის ნიუანსებზე, მის ლიგერაგურულ წყაროებზე. შენიშნული აქვს ისიც, რომ რუსთაველს თავისი პირველწყაროებიდან უთუოდ განასხვავებს ახალი იდეები და სხვა. ამავე დროს სიმპტომურია, რომ დ. რეიფილდის წიგნიც გრძელდება ევროპული ლიგერაგურათმცოდნეობისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, რომელიც ცდილობს „ვეფხისტყაოსანი“ გამიჯნოს მსოფლიო ლიგერაგურის აღიარებული შედევრებიდან. ამ მიზნით იგი ლაპარაკობს პოემის სიუჟეტის აგებულებისა და პოეტური ამროვნების

ექსცენტრულობაზე ("the eccentricities of plotting and thinking..."), მთლიანად თხზულების ეკლექტურობაზე ("eclectic work"). და ბოლოს კი ასკენის: „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა არის ეროვნული და არა საერთაშორისო შედევი, რადგან მისი მამოძრავებელი [იდეა, ღერძი - ე. ს.] არ არის დარწმუნება ადამიანის უსუსურობაში, რითაც გამსჭვალულია დანგე ან შექსპირი. და მაინც, რუსთაველის პოემა ქართველებისათვის არის ის, რაც დანგეს „ღვთაებრივი კომედია“ იტალიელებისათვის“.

ძნელია ეკამათო ინგლისელი ქართველოლოგის განცხადებას „ვეფხისტყაოსნის“ ეკლექტიზმზე და მისი სიუჟეტის ექსცენტრულობაზე, ან მიიღო იგი, რადგანაც მკვლევარი არც განმარტავს თავის დებულებებს და არც ასაბუთებს მათ. სხვა სიბრტყეზე შეიძლება იქნეს განხილული დ. რეიფილდის ამრი: „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ არ არის მსოფლიო ლიგერაგურის შედევი, რომ მისი მამოძრავებელი ღერძი არ არის რწმენა და აღიარება ადამიანური არსებობის უსუსურობისა. ეს ორიგინალური თეალსამრისია, რომელიც, ჩემი ამრით, კომენტარს საჭიროებს. შეიძლება კი თავისდათავად მართებული ფილოსოფიური თემა ადამიანური ყოფის უსუსურობისა ვაქციოთ კაცობრიობის ლიგერაგურული ამროვნების ერთადერთ ქვაკუთხედად და ყველა ეპოქის, რელიგიური პოზიციისა და ფილოსოფიური ორიენტაციის ლიგერაგურული ქმნილების შეფასების უმაღლესი კრიტერიუმი ამ თემის გამოვლენა-არგამოვლენის კომენტირებამდე დავიყვანოთ? ხომ არ არის ამგვარი პოზიციის ძიება ყველა დროის ლიგერაგურულ ქმნილებაში ჩვენი სუბიექტური განწყობილებიდან შეხედვა მსოფლიო ლიგერაგურული შედევრებისადმი? ანდა, უკუთუ შემთხუვავში ხომ არ არის იგი ჩვენი ეპოქის პოზიციიდან შეფასება გარდასულ ეპოქათა ამროვნებისა? შეიძლება კი კაცობრიობის მთელი სწრაფვა ყოფნა-არყოფნის საიდუმლოს ამოცნობისა ამ ერთ თეზამდე დავიყვანოთ? შეიძლება კი გამოვრიცხოთ ადამიანური არსებობის უმაღლესი იდეალებიდან ოპტიმიზმი, ბრძოლა უკუღმართი ბედის წინააღმდეგ, შემართება სიცოცხლის, სილამაზის, სიყვარულის გადასარჩენად? ჩემი ამრით, ამ კითხვებზე უარყოფითი პასუხი მხოლოდ სუბიექტური ფაქტორით შეიძლება იქნეს განპირობებული და იგი ადამიანური არსებობის მრავალფეროვნების ფართო სპექტრიდან მიუღებელია. არც ის იქნება მართებული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ვერ შევნიშნოთ ადამიანის გასაჭირის, ადამიანური ყოფის უსუსურობის ხედვა და პოემის მთელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კრედო ბრმა

ოპტიმიზმამდე დაეყვანოთ. „ვეფხისტყაოსანში“ გრადიციული ქრისტიანული იდეალი - კეთილი და მოწყალე შემოქმედის მარადიულობის, სულის უკვდავების და იმქვეყნიურ სამყოფელში ამ უსასრულო ღვთაებასთან შეერთების რწმენა - პარმონიულად, წინააღმდეგობების გარეშე, ერწყმის ამქვეყნიური რეალობის ფასეულობის შემეცნებას, ადამიანური სამყაროს სიღამაზეში დარწმუნებას, ადამიანური გონებისადმი ნდობის გამოცხადებას (იხ. ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1993). ეს შეერთება, პარმონია, არ არის ეკლექტიკა. იგი გამოვლენაა ევროპული ცივილიზაციის გარკვეული ეპოქის მსოფლალქმისა. იმ მსოფლალქმისა, რომელიც შესაძლებელია ადამიანური ყოფის უსუსურობის პოზიციიდან ყველაზე მეტად ოპტიმალური იყოს.

და მაინც, ვფიქრობ, რომ ევროპელი ქართველოლოგის თემა იმის თაობაზე, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა, არის ეროვნულ-ქართული და არა მსოფლიო ლიტერატურული შედევი, გარკვეული თვალსაზრისით სწორია. საქმე ის არის, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ქართული კულტურისა და აზროვნების ჩამოშორებამ ევროპული ცივილიზაციის პროცესის მაგისტრალური ხაზიდან, რუსთაველის მაღალი პოეტური და იდეური სამყარო ჩაკეცა შემომდებულ ქართულ არეალში. რუსთაველს, დანტესა და შექსპირისაგან განსხვავებით, არ მოუხდენია გავლენა ევროპული აზროვნების განვითარებაზე. ხოლო საკუთრივ ქართული სამოგადობრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზრი საუკუნეების მანძილზე „ვეფხისტყაოსანით“ იკვებებოდა. ამ თვალსაზრისით არის რუსთაველის პოემა უპირატესად სწორედ ქართული ეროვნული ლიტერატურული შედევი.

ელგუჯა ხინთიბიძე

შოთა რუსთაველი და კურტუაზული სიყვარულის სტრუქტურა (თარგმანი ინგლისურიდან და შესავალი შენიშვნები ეკა ქუთათელაძისა)

1998 წლის შემოდგომაზე პროფ. ე. ხინთიბიძემ ამერიკიდან მიიღო მონინის მხარის თემის კოლეჯის (Des Moines Area Community College) ფილოსოფიის ინსტრუქტორის თანაშემწის (Adjunct Philosophy Instructor) გ. კულემანს ბენენის (G. Koolemans Beynen) წერილი და ამონაბუკდი მისი სტატიისა კემბრიჯში 1997 წელს გამოქვეყნებული კრებულიდან "The Court and Cultural Diversity". სტატიის სათაურია „შოთა რუსთაველი და კურტუაზული სიყვარულის სტრუქტურა“. შემდგომში, წერილებისა და სპეციალური ლიტერატურის გაცემის შემდეგ, ქართველოლოგიურ სკოლის ცენტრში კ. ბენენისაგან მოვიდა გემოთ დასახელებული გამოცემა. კრებულში (The Court and Cultural Diversity) შეტანილია შერჩეული სტატიები კურტუაზული ლიტერატურის საერთაშორისო სამოგადობების მერვე კონგრესზე მოხმენილი მოხსენებებისა. ეს კონგრესი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იმართება. მერვე კონგრესი ჩატარებულია ბელფასტში, დედოფლის უნივერსიტეტში 1995 წლის 26 ივლისიდან 1 აგვისტომდე. კ. ბენენის სტატია კრებულის შესამე განყოფილებაშია (Negotiating a Courtly Voice) დაბუკდილი, 239-250 გვერდებზე. ავტორისავე ცნობით, ამ გამოკვლევის აღრიხელი ვარიანტები წაკითხული იყო 1990 წელს სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტის შუასაუკუნეების სამოგადობაში და კავკასიის კულტურის მეექვსე საერთაშორისო კონფერენციაზე ჩიკაგოს უნივერსიტეტში 1993 წელს. სტატიაში დამოწმებულია კ. ბენენის კიდევ ერთი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსანზე“ სათაურით - „ვეფხის (the Leopard) სიმბოლიკა ვეფხისტყაოსანში“ (The Symbolism of the Leopard in the Vepxist'qosani), გამოქვეყნებული „კავკასიის კვლევის სამოგადობის ყოველწლიურში“, 2, 1990წ. (The Annual of the Study of Caucasia, 2, 1990).

კ. ბენენის სტატია, რომლის სრულ ქართულ თარგმანს ვთავაზობთ მკითხველს, უპირველეს ყოვლისა იმითაა საინტერესო, რომ ავტორი ცდილობს წარმოადგინოს „ვეფხისტყაოსანის“ სასიყვარულო დრამის ანალიზი კურტუაზული რომანის სტრუქტურასთან მიმართებაში. მისი დასკვნები სრულიად ახლებურია და, ვფიქრობთ, რუსთაველოლოგთა წრეში მრავალგზისი განხილვის საგანი გახდება.

სტაგის მსჯელობის საგანია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც, ჩვეულებრივ, ითარგმნება როგორც "The Knight in the Panther Skin", სიგყვასიგყვითი თარგმანია "In the Leopard's Skin"⁴. პოემა შეიცავს დაახლოებით 6500 ტაქსს და დაწერილია დაახლოებით 1200 წელს საქართველოში (კავკასიაში). ავტორის შესახებ ცოცხა რამ ვიცით, ასევე მის სხვა ნაწარმოებებზე, თუკი ისინი საერთოდ არსებობდნენ. მაგრამ პოემა უდავოდ შედევრია და ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტ მწვერვალს წარმოადგენს. იგი ეხება პერსონაჟების მომწიფებას საკუთარი გრძნობების მართვით, განსაკუთრებით სიყვარულისა - უმაღლესი გრძნობისა, რომელიც აღამაღლებს ადამიანს, მასში საუკეთესოს გამოაფლენს, და რომელიც ყველაზე ძნელად სამართავია და ამიგომ ყველაზე მეტ შესაძლებლობას იძლევა პიროვნების სრულყოფისათვის, ვიდრე სხვა რომელიმე გრძნობა⁵. სიყვარულის გრძნობის მოთოკვა მიიღწევა საგრფოსა და მეგობრების დახმარებით, რომლებთანაც ადამიანს

⁴ თანამედროვე თარგმანები მოიცავს: *The Lord of the Panther-Skin*, მთარგმნელი რ. სტივენსონი, UNESCO Collections of Representative Works: Series of Translation from the ... USA (Albany: State University of New York Press 1977); *The Knight in the Panther Skin*, მთარგმნელი ქეთრინ ვივიანი (London: The Folio Society, 1977); და *The Man in the Panther's Skin*, მთარგმნელი მარჯორი უორდროპი (London, 1912; repr. Moscow: Progress Publishers, 1966). დონალდ რეიფილდის წიგნი *საქართველოს ლიტერატურა* (Oxford: Clarendon Press, 1994) მსჯელობს რუსთაველის პოემაზე ქართული ლიტერატურის კონტექსტში. თეიმურაზ ბაგრატიონის *Shota Rustaveli: A Man in his Time...* (New York: The Georgian Association in USA, 1968) გვაწვდის ცნობებს პოემის კულტურული და ისტორიული ფონის შესახებ. ავტორი მაღლობას უხდის ვაშინგტონის საერთაშორისო კვლევისა და გაცვლით საბჭოს (International Research and Exchanges Board of Washington DC), პეტროზავოლსკის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კარელიის ეროვნულ ბიბლიოთეკას სტაგის წერისას გაწეული დახმარებისათვის. სტაგის ადრეული ვარიანტები წაკითხულია სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტის შუასაუკუნეების სამოგადოებაში 1990 წლის 27 მარტს და კავკასიის კულტურის მეექვსე საერთაშორისო კონფერენციაზე ჩიკაგოს უნივერსიტეტში 1993 წლის 16 მაისს.

⁵ **А. Барамидзе**, Шота Руставели, *Вестник Академии Наук СССР*, №6 (1996), ст. 135-39, ст. 136.

საწუხარის გამიარება ესაჭიროება. ადამიანი შეპირისპირებულია ვეფხთან, რომელსაც კომუნიკაცია არ ძალუძს, აქედან გამომდინარე - არც გრძნობათა მართვა. სხვა მხრივ ადამიანი და ვეფხვი მსგავსია. ეს თემა ცნობილია ქართულ ფოლკლორშიც⁶.

ამბავი

პოემა იწყება იმით, რომ არაბეთის მეფე როსტევეანს, რადგან ძე არ ჰყავს, სამეფო ტახტზე ასული თინათინი შეცვლის. მეფე, რწმუნდება რა, რომ ახალგაზრდათა შორის მისი სწორი არაინაა, მოიწყენს. ავთანდილი, სპასპეტი და თინათინზე ფარულად გამიჯნურებული, მას სანადირო შეჯიბრში გამოიწვევენ და იმარჯვებს კიდევ, რაც მეფეს მხნობას მატებს. შემდეგ იღუმალი ვეფხისტყაოსანი მოყმე გაიფლევს და უკუაგდებს მასთან კონტაქტის ყველა მცდელობას. ეს ამბავი ახალ საგონებელში აგდებს მეფეს, რისგანაც თინათინი იხსნის ბრძნულად შერჩეული სიგყვებით. თინათინი ავთანდილს უბრძანებს, მოძებნოს მოყმე.

სამი წლის შემდეგ ავთანდილი იპოვის გამოქვაბულს, სადაც მოყმე ახალგაზრდა ქალთან ერთად ბინადრობს. მოყმე რომ ქვებს დაგოვებს, ავთანდილი ცდილობს, ქალი აიძულოს, უცნობის ვინაობა გაუმხილოს. ეს ცდა წარუმატებელია, სანამ ავთანდილი არ ეტყვის, რომ გამიჯნურებულია და საგრფოს დავალებითაა მოყმის საძებრად წამოსული.

უცხო მოყმე გარიელია, ინლოეთის შვიდი სამეფოდან ერთ-ერთის მეფის - სარიდანის შვილი. სარიდანმა თავისი სამეფო დანარჩენი ექვსი სამეფოს მმართველ ფარსადანს შეუერთა ინლოეთის გაერთიანებისათვის. ხოლო ფარსადანმა სპასალარობა უბოძა სარიდანს და, რადგან თვითონ უშვილო იყო, მისი ძე, გარიელი იშვილა.

შემდეგ ფარსადანს ასული ნესგან-ღარეჯანი შეეძინა და მეფემ გარიელის ნაცვლად მემკვიდრედ ნესგანი გახადა. ქალ-ვაჟი ერთმანეთს გაუმიჯნურდა. გარიელი მამისაგან მემკვიდრეობად იღებს სპასალარობას და მემოზელ ძლევა მოსილ გომს - ხაგაელებს ამარცხებს, რათა ნესგან-ღარეჯანს სიყვარული დაუმტკიცოს.

⁶ **G. Koolemans Beynen**, The Symbolism of the Leopard in the *Vepxist'q'aosani*. In: *The Annual of the Society of the Study of Caucasia* 2 (1990), p. 39.

მოულოდნელად ფარსადანი ნესგან-დარეჯანს ხვარამმელ უფლისწულზე დანიშნავს. ქალი გამძვინვარებულია, გარიელს აღნაშაულებს და აიძულებს, მოკლას უფლისწული, რის შემდეგაც გარიელს გაქცევა უხდება. ფარსადანი თავის დას, ნესგანის აღმზრდელს, დაეარს კიცხავს. დავარი გააგაცეხინებს ნესგან-დარეჯანს და მერე თავს იკლავს. ნესგან-დარეჯანი გადაიკარგება და რამდენიმე წლის უნაყოფო ძებნის შემდეგ გარიელი ნესგანის მონა-ქალ ასმათთან ერთად განმარტოვდება გამოქვაბულში, სადაც ავთანდილი მას იპოვის.

ავთანდილი იწყებს ნესგან-დარეჯანის ძებნას და ბოლოს და ბოლოს მას ქაჯთა შორის მიაგნებს, რაშიც გულანშაროს ვაჭართა უხუცესის ცოლი დაეხმარება. იგი ღამეს გაატარებს ფაგმანთან. გარიელი გაათავისუფლებს ნესგან-დარეჯანს მეგობართა დახმარებით და პოემა იმით მთავრდება, რომ გმირები ბელნიერად მეფობენ თავიანთ ქვეყნებში.

სიყვარული და მეგობრობა

პოემა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ სიყვარული და მეგობრობა, ორივე წარმოდგენილია, როგორც კაცობრიობის ქმედების მამოძრავებელი ძალა. ეს ასახვას პოემაში, სადაც ჩვენ ვხედავთ სიყვარულის გრძნობის სიმძაფრეს მეგობრობის ძლიერი ელემენტის გვერდით.

გოლცევის მტკიცებით, პოემა მეგობრობას განადიდებს და არა სიყვარულს. დასტურად მას ავთანდილის მიერ გარიელის ძებნა მოჰყავს: თუმცა თინათინი მხოლოდ უბრალოდ სთხოვს მას, იპოვოს გარიელი, ავთანდილი სამი წლის მანძილზე ეძებს და შემდეგ ნესგან-დარეჯანის პოვნასაც ჩართავს ამ ძებნის პროცესში. ეს კი, როგორც გოლცევი ამტკიცებს, იმის მაჩვენებელია, რომ ავთანდილის პრიორიტეტია რიგში თინათინი გარიელმა შეცვალა⁷. მაგრამ ავთანდილი რომ ნესგან-დარეჯანს ეძებს, იგი ამას სჩადის იმიტომ, რომ, როგორც აღამიანური ქმნილება, თავს ვალდებულად თვლის, დაეხმაროს სხვა აღამიანს, რომელიც იგანჯება და მის თანადგომას საჭიროებს. იგი უბრუნდება თინათინს მაშინ, როცა მისი დახმარება საჭირო აღარაა, ანუ როცა ნესგან-დარეჯანი და გარიელი ერთად შეიყრებიან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თინათინს მის განსჯაში

უპირველესი ადგილი ეჭირა. უფრო მეტიც, სიყვარულს ცენტრალური ადგილი უჭირავს პოემაში, რადგანაც ავთანდილის მეგობრობა გარიელისადმი წარმოშობილია მისი სიყვარულიდან თინათინის მიმართ, ვინაიდან თინათინის მიერაა ნაბრძანები.

ავთანდილი სიყვარულის სამოგალოებრივი და ამამალლებელი ძალის კარგ მაგალითს იძლევა: რუსთაველის კონცეფციით, საგრფოსადმი თავდადებიდან სიყვარული მოძმე მიჯნურისადმი მეგობრობისაკენ მიემართება, მერე იმ აღამიანებისადმი, ვისთანაც მეგობარია დაკავშირებული, და მერე მთელი კაცობრიობისადმი. სიყვარულს პიროვნება ეგოისტური ნაჭუჭიდან გამოჰყავს და ააქტიურებს მის დაინტერესებას სხვებით; პირველად ერთი აღამიანით, მერე კი, ამ ერთის წყალობით - კიდევ სხვებით; საბოლოოდ კი - მთელი სამოგალოებით.

„ვეფხისტყაოსანი“ და კურტუაზული ლიტერატურა

ერთი შეხედვით „ვეფხისტყაოსანი“ თითქოსდა ტიპური კურტუაზული ნაწარმოებია: გმირი საგრფოს მიერ იგზავნება მოყმის საძებრად, რაინდები უნუგეშონი არიან საგრფოსთან დაშორების გამო და ცრემლთა მდინარეებს ღვრიან. მაგრამ ბაურა „იდეალური სიყვარულის კულტთან“ ერთად ხედავს „განსაკუთრებულ გმირულ მსოფლმხედველობას“⁸. ღრონკე „ვეფხისტყაოსანში“ „სარაინდო სიყვარულის სრულ გამოვლინებაზე“ ლაპარაკობს, თუმცა უთითებს რამდენიმე დამატებით ელემენტზე, როდესაც აცხადებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არღვევს საზღვრებს ხალხურ და კურტუაზულ ლიტერატურას შორის⁹. ასე რომ, ორივე მკვლევარი შენიშნავს განსაკუთრებულ მახასიათებელს, და ამ სტატიის მიზანი სწორედ ის არის, რომ შემდგომ განაგრძოს იგი, რისთვისაც განვიხილავთ: 1) „ვეფხისტყაოსნის“ ადგილს კურტუაზულ ლიტერატურაში; 2) ადიულტერის პრობლემას „ვეფხისტყაოსანსა“ და კურტუაზულ ლიტერატურაში; 3) ჟირომუნსკის გიპოლოგიას ეპიკური და სარაინდო ლიტერატურისათვის.

„ვეფხისტყაოსანი“ სამი ნაწილისაგან შედგება, ყოველი მათგანი კურტუაზული ლიტერატურის სხვადასხვა სტრუქტურითაა

⁸ C. M. Bowra, *Inspiration and Poetry* (London: Macmillan, 1955), p. 57.

⁹ Peter Dronke, *Medieval Latin and the Rise of European Love-Lyric, Vol. I: Problems and Interpretations* (Oxford: Clarendon Press, 1968), pp. 15-16.

⁷ Виктор Гольцев, Шота Руставели, 2-е изд. (Москва: GIXL, 1956), ст. 101, 105.

აგებული: 1) მოკლე შესავალი, რომელშიც პოეტი პოემას დედოფალ თამარს უძღვნის და სადაც მხოლოდ პოეტი და დედოფალი ფიგურირებენ; 2) ვრცელი სიუჟეტური ნაწილი, სადაც ოთხი გმირი ქალი და მამაკაცია ჩვენი ძირითადი პერსონაჟები; 3) მოკლე ეპილოგი მიძღვნიტ მეფე დავითისადმი, დედოფლის ქმრისადმი, რომელიც ერთადერთი აღრესაგია.

პროლოგს გიჟური კურგუამული ნაწარმოების სახე აქვს: რუსთაველი აცხადებს თავის სიყვარულს დედოფალ თამარის მიმართ და მოსთქვამს, რომ დედოფლისათვის მისი გრძნობა უცნობია. ეს საბაბს აძლევს, უწოდოს „უწყალო, ვითა ჯიქია“, რასაც შემოჰყავს ვეფხის თემა პოემაში (ბეინენი, გვ. 39). დედოფლის ქმარი ერთხელაც არაა ნახსენები, ასე რომ, აქ კურგუამული ლიტერატურა წარმოდგენილია, როგორც მხოლოდ სიგყვიერი დრამა ყოველგვარი შედეგის გარეშე, განსაკუთრებით მანამ, სანამ დედოფლის ქმარი ეპილოგში იქნება ნახსენები და მას უნდა სცოდნოდა რუსთაველის პოემისა და მისი ნამდვილი, მოგონილი თუ გრადიციულ-დაკანონებული სიყვარულის შესახებ. ეპილოგი ძალზე მოკლეა იმისათვის, რომ კურგუამულ ლიტერატურაზე ჩვენი მსჯელობისათვის რამე მნიშვნელობა ჰქონდეს.

პოემის ძირითადი ნაწილი ეხება გარიელისა და ნესტან-დარეჯანის, უფრო ნაკლებად კი – ავთანდილისა და თინათინის სიყვარულს. აბსოლუტური თავდადება გმირებისა თავიანთი საგრფოებს მიმართ, ძებნა, რომელსაც ავთანდილი თინათინის მოთხოვნით შეუდგება, და ძლიერი გრძნობები, რასაც ცრემლთა მდინარეები ახლავს ხოლმე, პოემას გამოკვეთილად შეიყვანს კურგუამული ლიტერატურის შემადგენლობაში. მეორე მხრივ, პოემას გააჩნია თავისებურებანი, რაც კურგუამული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი არაა; ამ ნიშნებს ძალუძთ ნათელი მოჰფინონ კურგუამულ ნაწარმოებებში არსებულ თუ ნაგულისხმევ ადიულტერის პრობლემას.

როგორც ჩანს, გადაჭარბებული გირილი კარგა ხნის მანძილზე იყო მიჩნეული კურგუამული ლიტერატურის მახასიათებელ ნიშნად¹⁰. ეს ნიშანი წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსანშიც“. რაც არ უნდა იყოს მიზეზი, იგი შეთავსებადია იმ ამოცანასთან, რომლის წინაშეც დგანან

გმირი მამაკაცები და ქალები: გრძნობების მოთოკვა. რუსმა ფოლკლორისგმა ვლადიმერ პროჰმა შენიშნა, რომ ფოლკლორში არსებული გადაჭარბებული მახასიათებლები, მაგ. თორმეტი თავი ან რვა ფეხი, არ უნდა იქნას გაგებული სიგყვასიგყვით, ისინი უფრო შოგად, აბსტრაქტულ მახასიათებლებზე მიუთითებს: თორმეტთავიანი გველეშაპი უკიდურესად საშიში გველეშაპია და არა ის, რომელსაც კიდევ მეტი თავი აქვს. ანალოგიურად, რვაფეხიანი ცხენი ყველაზე სწრაფი ცხენია¹¹. ზღვარგადასული გირილიც ამის მსგავსად უნდა აიხსნას: ემოციები არაჩვეულებრივად ძლიერია. მათი ძალა მიუთითებს გმირის ძალას. რაც უფრო ძლიერია ემოციები, მით უფრო ძლიერია გმირი, რომელიც ახერხებს მათ მართვას.

უნდა აღინიშნოს, რომ გმირთა ემოციური გამომსახველობა მიჰყვება საზოგადოებრივად დაკანონებულ მოდელს: მათი ქცევა არა მხოლოდ მათ გრძნობებს გამოხატავს, არამედ ამას აკეთებენ იმ ერთადერთი გზით, რომელიც საზოგადოების მიერაა სანქცირებული. ამიტომაც გარიელი ისე იქცევა პოემის პირველ ნაწილში, რომ იგი უმწიფარიცაა და მომწიფებელიც: უმწიფარია თავისი უმწიფობის გამო, აკონგროლოს საკუთარი გრძნობები; მაგრამ მომწიფებულია იმით, რომ თავის მოუმწიფებლობას გამოხატავს საზოგადოებისათვის მისაღები ერთადერთი გზით: როგორც მიჯნური, როგორც სიყვარულით შეპყრობილი ადამიანი¹².

პოემა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ ქალები დომინანტურ როლს თამაშობენ როგორც პოემაში, ასევე მის თანამედროვე სოციალურ რეალობაში. ეს ნაწარმოები თამარის მმართველობის პერიოდშია დაწერილი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი მეფე იყო საქართველოს ისტორიაში. პოემის ორივე გმირი ქალიც, თამარ მეფის მსგავსად, მამების მექვიდრეები არიან.

ორი გმირი

ერთი ნიშანი, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ უნიკალურობას ანიჭებს, არის ორი გმირის არსებობა. მართალია, არსებობენ სხვა ასეთი წყვილებიც, მაგ.: როლანდი და ოლივერი, ან აქილეუსი და პაგროკლე (ბაურა, გვ. 60). ოსი მკვლევარი აბაევი მსჯელობს ასეთ

¹⁰ C. W. Lewis, *The Allegory of Love: A Study in Medieval Tradition* (New York: Oxford University Press, 1958), p.1.

¹¹ Владимир И. А. Пропп, *Исторические корни волшебной сказки*. 2-е изд. Ленинград, стр. 247.

¹² S. V. Lominadze, oral communication, Moscow, August 1993.

ორგანიზაციის ჯგუფებზე და მას „პაგროკლეს მოციქვს“ უწოდებს¹³. ამ ჯგუფებში ისეთ მეგობრობას ვხვდებით, რომელიც ორივეს უკან ეწევა და არ აძლევს საშუალებას პროდუქციული იყოს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არ ასრულებენ მიჯნურთა სურვილებს, არ იმარჯვებენ ომებში და არ იპყრობენ გერიტორიებს. როდესაც ერთი გმირი კვდება, ქორწინდება ან რაღაც სხვა მიზეზით უჩინარდება, დარჩენილი მეორე გმირი პროდუქციული ხდება. „ვეფხისტყაოსანში“ ასე არ ხდება. მართალია, გარიელი გაივლის არაპროდუქციულ პერიოდს, მაგრამ ეს პერიოდი არ მთავრდება ავთანდილის სიკვდილით; უფრო სწორად, ეს პერიოდი მთავრდება მაშინ, როცა ავთანდილი ნესტან-დარეჯანის ადგილსამყოფელს მიაგნებს. აბაევი არ მსჯელობს როლანდისა და ოლივერის შესახებ, რომელთა შემთხვევაში ორივე გმირი მანამდე კვდება, სანამ პროდუქციულნი შეიძლება გახდნენ.

აბაევის მოსაზრება აქ ნაკლებად გამოსაძვავია, მით უმეტეს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არა მარტო ორ გმირ მამაკაცს ვხვდებით, არამედ ორ გმირ ქალსაც. ორი გმირი მამაკაცი სხვა კურტუაზულ ნაწარმოებშიც შეიძლება ვნახოთ, რომლებიც, ჩვეულებრივ, ანტაგონისტები არიან. ერთი მათგანი საგრფოს ქმარი ან პოეტის მეგობარია, ხოლო მეორე პოეტი და მიჯნურია. პირველი პერსონაჟი, მაგ. მეფე დავითი „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში, მეფე არტური, ან მეფე მარკი „გრიგანისა და იმოლდაში“, არ არის აუცილებელი სამიჯნურო ურთიერთობისათვის და შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს, ან მხოლოდ იგულისხმებოდეს. ეს პერსონაჟი უფრო მომწიფებულია, ანუ უფრო დამკვიდრებულია: იგი დაქორწინებულია პოეტის საგრფოზე, აქვს უფრო მეტი გამოცდილება სამოგადოებრივ და სამხედრო მოღვაწეობაში და, ჩვეულებრივ, ისეთი მაღალი სოციალური მდგომარეობა უკავია, როგორცაა მეფობა. მამრობითი სქესის მეორე პერსონაჟი წარმოადგენს პოეტს ან ღარიბ მოყმეს, რომელიც ცდილობს საგრფოსაგან საპასუხო სიყვარულის მოპოვებას; ამასთან, იგი სოციალურად ნაკლებ მომწიფებულია, ანუ ნაკლებ დამკვიდრებული: არ არის დაქორწინებული, ნაკლები სოციალური თუ სამხედრო გამოცდილება გააჩნია და ხშირად არ აქვს სტაბილური შემოსავალი. ორი ასეთი ანტაგონისტის არსებობა იწვევს მეგობრობას.

¹³ V. I. Abaev, "Le Cheval de Troie". In: *Annales: Economies, Societes, Civilisations* XIII, 6 (November-December 1963), p. 1059.

აქ ჩვენ ვპოულობთ პირველ ნიშანს, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ უნიკალურს ხდის, თუმცა პოემაში მამრობითი სქესის ორი პერსონაჟია, ერთი მეგობარ, მეორე კი ნაკლებად მომწიფებული და დამკვიდრებული, მათ შორის მეგობრობა არ მყარდება. ეს გამოწვეულია ორი გმირი ქალის არსებობით, რაც უკვე მეორე მახასიათებელი ნიშანია; და ამ ქალთაგან ორივეს გააჩნია იგივე მომწიფებულობა და სამოგადოებრივი მდგომარეობა, რაც მათ მიჯნურებს აქვთ¹⁴. ორი გმირი ქალის არსებობამ გამოიწვია მეგობრობა ქალის გულისათვის, რაც ასე მახასიათებელია კურტუაზული ლიტერატურისათვის. ამის მაგივრად, დამკვიდრებული და ნაკლებად დამკვიდრებული მამაკაცისა და ქალის წყვილი ხელს უწყობს მამაკაცისა და ქალის თანამშრომლობას, ვინაიდან თანაბარი მომწიფებულობის მქონე წყვილები ერთმანეთს მიიზიდავენ მათი ერთნაირი პრობლემების გამო. ეს თანამშრომლობა განმტკიცებულია იმ ფაქტით, რომ წყვილები თავიანთი სიყვარულის შესახებ პოემის დასაწყისშივე აცხადებენ. ამიგომ გმირ მამაკაცებს ნაკლები დროის დახარჯვა უწევთ საგრფოთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად; ასე რომ, ორივე წყვილს შეუძლია კონცენტრირება იმ დაბრკოლებათა დასაძლევად, რაც ბუნდოვნებისაკენ სავალ გზაზე ელოდებათ.

ასე რომ, „ვეფხისტყაოსანში“ მამაკაცთა შორის მეგობრობის არარსებობა და თანამშრომლობა ერთნაირი მომწიფებულობის მამაკაც და ქალ პერსონაჟებს შორის შედეგად იძლევა თანამშრომლობის საერთო აგმოსფეროს.

ავთანდილის ალიულტერი

მამაკაცთა მეგობრობა მოგიერთ კურტუაზულ ნაწარმოებში მთავრდება ალიულტერზე მინიშნებით მაინც. „ვეფხისტყაოსანში“ ალიულტერი არც უნდა იყოს მოსალოდნელი, ვინაიდან აქ მეგობრობა თანამშრომლობით არის შეცვლილი. ამიგომ უფრო განსაკვირვებელია პოემაში მრუშობის ეპილოდის არსებობა. კიდევ უფრო განსაკვირვებელი ის არის, რომ მას სჩადის ავთანდილი, უფრო მეტად დამკვიდრებული მამრობითი პერსონაჟი. კურტუაზულ ლიტერატურაში ალიულტერი, თუკი იგი არსებობს, შედეგად მოჰყვება ნაკლებ დამკვიდრებული პერსონაჟის მიერ მიზნის მიღწევას.

¹⁴ გერმინები „მომწიფებული“ და „სოციალურად დამკვიდრებული“ სტაგიაში სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება.

ადიულტერის ეპიზოდი მაშინ იწყება, როცა ნესგან-დარეჯანის კვალი ავთანდილს ქალაქ გულანშაროში მიიყვანს. აქ იგი ვაჭართა უხუცესის ცოლს ფაგმანს დაუმეგობრდება, რომელთანაც მან ღამე უნდა გაატაროს. ამ დროს ვიღაც უცნობი ხელს შეუშლით. ფაგმანს ემინია, რომ ეს კაცი (ჭაშნავირი) შანგაქს მოუწყობს. ავთანდილი კლავს მას ქალის მოთხოვნით. შემდეგ ფაგმანი შანგაქის მიმდევარს შესახებ უყვება, რომლის დროსაც ახსენებს ნესგან-დარეჯანს და მის ადგილსამყოფელს - იგი გყვება ქაჯეთის ციხეში. ფაგმანი და ავთანდილი ღამეს ერთად ატარებენ და მეორე დილას ნესგან-დარეჯანს წერილს უგზავნიან.

ამ ეპიზოდის ახსნა ძნელია. შეიძლება ვინმემ ავთანდილის ქცევა გაამართლოს იმის მტკიცებით, რომ მისი ადიულტერი ემსახურებოდა ნესგან-დარეჯანის შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვებას. მაგრამ ამგვარი გამართლება საშუალებისა მიზნით არ ეთანხმება პოემის მთელ დანარჩენ ნაწილს, სადაც გმირები თავიანთ სიღიადეს ამტკიცებენ ერთი შეხედვით უძნელესი ამოცანების გადაჭრით. ავთანდილს სასურველი ამბის შეგყობა ფაგმანისაგან შეეძლო მხოლოდ დაპირებით ღამის ერთად გატარების შესახებ, ან გულანშაროს ვაჭრებისაგან (ბაზარში), სადაც ფაგმანმა მოიპოვა ეს ინფორმაცია. ამასთან, ადიულტერი მოხდა მას შემდეგ, რაც ავთანდილი უკვე ფლობს ინფორმაციას და ამიტომ არ შეიძლება იგი ემსახურებოდეს მის მოპოვებას, და უფრო მეტიც, ავთანდილი იწყებს ადიულტერს მანამ, სანამ ფაგმანს ნახსენებაც არა ჰყავს ნესგან-დარეჯანი.

ავთანდილის ადიულტერის ჩვენეული ახსნა შემდეგია: კურგუამულ ნაწარმოებთა უმრავლესობა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მხოლოდ საწყის ეტაპს ხატავს, სადაც ნაკლებად დამკვიდრებული გმირი იპყრობს საგრფოს და აღწევს მომწიფებულობას. ეს ნაწარმოებები არ ეხება იმას, თუ რა მოხდება გმირის მიერ მომწიფებულობის მიღწევის შემდეგ, ე.ი. როცა იგი და მისი საგრფო ბედნიერ ცხოვრებას შეუდგებიან. ამ შემთხვევაში მესამე ნიშანი იჩენს თავს, რაც უნიკალურს ხდის „ვეფხისტყაოსანს“: იგი გვიჩვენებს არა მხოლოდ ნაკლებ დამკვიდრებული გარიელის მომწიფებას, არამედ აღწერს აგრეთვე მომწიფებული და მეტად დამკვიდრებული ავთანდილის მდგომარეობას. გარიელის შემთხვევაში ეხედავთ მოუმწიფებელი პიროვნების მრდას, რომელიც საკუთარი თავის მართვას სწავლობს; ავთანდილის შემთხვევაში კი -

მომწიფებულ და დამკვიდრებულ გმირს, რომლის დამახასიათებელი თვისებები შემდეგია: 1) იგი კურგუამული ლიგერატურის მოწყალე სამარიტელის მსგავსად ეხმარება მათ, ვინც ნაკლებ მომწიფებულია; და 2) თუმცა ავთანდილის ქცევა ზოგადად მაღალ მორალურ დონეზეა, მუდმივად ამ დონეზე არ რჩება: არის ხანდახან აღმასვლაც და ჩაუარდნებიც. ერთი ასეთი აღმასვლა ავთანდილის ქცევაში არის გარიელისთვის დახმარების გაწევა; ჩაუარდნა კი ფაგმანთან მისი მრუშობის ეპიზოდია.

გრაფიკულ კურგუამულ ლიგერატურაში ადიულტერი, მასზე მინიშნება ან შესაძლო არსებობა, ნაკლებად დამკვიდრებული გმირის მიზანმიმართული დეკლარაციაა მისი საზოგადოებრივი აღიარებისა: მისი აღიარება საგრფოს მიერ, რომელიც თავისი ქორწინებისა თუ სოციალური მდგომარეობის გამო საზოგადოების ცნობილი წევრია, ადასტურებს, რომ ახლა უკვე გმირიც საზოგადოების დამკვიდრებული წევრი ხდება, თუნდაც მხოლოდ როგორც მისი საგრფო ან თავყვანისმცემელი. „ვეფხისტყაოსანში“ ადიულტერი დროებითი ნეგატიური გადახრაა მაღალი საფეხურიდან, რომელზეც მომწიფებული გმირი თავის ცხოვრებას წარმართავს. არის აგრეთვე პოზიტიური გადახრაც - გარიელისთვის დახმარების გაწევა.

მაშინ, როცა სგანდარგული კურგუამული მოდელი ნაკლებ დამკვიდრებული გმირის მომწიფებას გვიჩვენებს, „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ორიგინალი მოდელი: ვხედავთ ერთ გმირს, რომელიც მომწიფებას აღწევს, და, ამავე დროს, ვაკვირდებით მეორე გმირსაც, რომელიც მომწიფებულობის ცვალებად დონეს ინარჩუნებს. თავდაპირველად ეს ორი გმირი ორ განსხვავებულ ტიპს განეკუთვნება: ერთი დამკვიდრებულია, მეორე - ნაკლებ დამკვიდრებული. პოემის ბოლოს ორივე დამკვიდრებულად და მომწიფებულად იქცევა.

არა მხოლოდ ორი გმირი მამაკაცი, არამედ გმირი ქალებიც ამქვეყნებენ ამ თვისებას „ოთხრიგა მოდელის“ შექმნით. მაშინ როცა, მაგ. გრისგანის ლეგენდაში მეორე იმოდლა მკრთალ ფიგურად რჩება, რომელიც არ ვითარდება, „ვეფხისტყაოსანში“ ვაწყდებით ერთ მომწიფებულ და დამკვიდრებულ გმირ ქალს და მეორეს, რომელიც გაივლის იმავე მომწიფების პროცესს, რასაც ნაკლებ დამკვიდრებული გმირი მამაკაცი. ნაწარმოების ბოლოს ისიც მომწიფებულ და დამკვიდრებულ პიროვნებად გვევლინება.

კურტუაზული სიყვარულის ტიპოლოგია

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ძირითად კურტუაზულ მოდელზეა დაფუძნებული: ნაკლებ დამკვიდრებული მამაკაცი პოეტი და მეტად დამკვიდრებული მისი საგრაფო. ამ უკანასკნელს, შესაძლოა, ქმარიც ჰყავდეს, რომელიც მაშინ პოეტის მეტოქე იქნებოდა, მაგრამ იგი ნახსენები არაა. ეს მოდელი ნაჩვენებია პირველი სქემით:

მამაკაცი	ქალი	
	დელოფალი თამარი	მეტად დამკვიდრებული
მომთა		ნაკლებ დამკვიდრებული

სქემა 1: ძირითადი კურტუაზული მოდელი, რომელიც მოიცავს ნაკლებ დამკვიდრებულ მამაკაცს და მის დამკვიდრებულ საგრაფოს. მთავარი სასიყვარულო ურთიერთობის მონაწილეთა სახელები მუქადაა გამოყოფილი.

მემოთ მოცემულ მოდელს ღია უჯრები გააჩნია მეტად დამკვიდრებული მამაკაცისა და ნაკლებად დამკვიდრებული ქალისათვის. მამაკაცის უჯრა ივსება „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში მეფე დავითის სახელით და, მაგალითად, არგურის ციკლის რომანებში მეფე არგურის სახელით, სადაც დელოფალი გვინეერა დამკვიდრებული გმირი ქალია, ხოლო ლანსელოტი – ნაკლებ დამკვიდრებული მამაკაცი, როგორც მეორე სქემამზა ნაჩვენები.

მამაკაცი	ქალი	
მეფე არტური	დელოფალი გვინეერა	მეტად დამკვიდრებული
ლანსელოტი		ნაკლებ დამკვიდრებული

სქემა 2: პირველი გაფართოება კურტუაზული მოდელისა უფრო დამკვიდრებული მამაკაცის დამატებით. ძირითადი სასიყვარულო ურთიერთობის წევრთა სახელები მუქადაა გამოყოფილი.

მესამე მოდელი მაშინ მიიღება, როცა ნაკლებ დამკვიდრებული ქალის უჯრა შეივსება. ყველაზე კარგად ცნობილი მაგალითი ასეთი მოდელისათვის „გრისგანსა და იმოლდაში“ გვაქვს, სადაც გრისგანი ცდილობს, დაივიწყოს იმოლდა „ხელთეთრა იმოლდასთან“ ურთიერთობაში. მაგრამ მთავარი სიყვარული რჩება გრისგანსა და პირველ იმოლდას შორის. მხოლოდ მათი სახელებია შავი შრიფტით გამოყოფილი.

რუსი მეცნიერი ჟირმუნსკი ასახელებს მრავალ ახლოდმოსავლურ ბიოგრაფიასა თუ რომანის მსგავსი სტრუქტურით: გმირი ცდილობს საგრაფოს დაივიწყებას სხვა ქალის მკლავებში. საინტერესოა ისიც, რომ ყველა ამ ნაწარმოებში ქალებს ერთი და იგივე სახელი აქვთ, როგორც გრისგანის ლეგენდაში. გამონაკლისია ცნობილი თურქული რომანი „თაპირი და მუჰრა“: მეორე ქალს აქ სადიშა ჰქვია და არა მუჰრა¹⁵.

მამაკაცი	ქალი	
მეფე მარკი	იმოლდა I	მეტად დამკვიდრებული
ბრისგანი	იმოლდა II	ნაკლებ დამკვიდრებული

სქემა 3: მეორე გაფართოება კურტუაზული მოდელისა ნაკლებ დამკვიდრებული ქალის დამატებით. სასიყვარულო დამოკიდებულება მაინც ერთია, რაც მუქადაა გამოყოფილი.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ერთი მხრივ, მოიცავს გრისგანის მოდელის ვარიაციას, მეორე მხრივ კი იგი უნიკალურია იმით, რომ მასში არის ორი ძირითადი სასიყვარულო ურთიერთობა.

¹⁵ Виктор М. Жирмунский, Литературные отношения Востока и Запада как проблема сравнительного литературоведения, Сравнительное литературоведение: восток и запад. Ленинград, 1979, стр. 43-44. ეს ჟირმუნსკის სტატიის მეორე ვარიანტია, სადაც მან გამოტოვა შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილის შესახებ ეპიკურ და კურტუაზულ ლიტერატურაში; პირველი ვარიანტი გამოქვეყნდა Труды юбилейной научной сессии ЛГУ: секция филологических наук (Ленинград, 1946), стр. 153-158.

ამგეარად, კურტუაზულ სასიყვარულო ურთიერთობაში მამაკაცის განსაზღვრა, როგორც ნაკლებ მომწიფებულისა და ნაკლებ დამკვიდრებულისა, როგორც პირველ სქემაზე ნაჩვენები, ქმნის მეორე მამაკაცის არსებობის შესაძლებლობას, რომელიც დამკვიდრებული და სოციალურად მომწიფებულია. ეს შესაძლებლობა არტურის ციკლის რომანებში რეალიზდება და გამოხატულია მეორე სქემით. ანალოგიურად, შეუვსებელია ნაკლებ დამკვიდრებული ქალი პერსონაჟის ადგილი და მას ვხვდებით გრისტანის ლეგენდაში და რამდენიმე ახლოდმოსავლურ ნაწარმოებში, როგორც მესამე სქემა გვიჩვენებს. „ვეფხისტყაოსანში“ ამ დამატებითმა პერსონაჟებმა დაკარგეს მეორადი მნიშვნელობა და უკვე საკუთარ სასიყვარულო ურთიერთობაში მონაწილეობენ, როგორც მეოთხე სქემაზე ნაჩვენები:

მამაკაცი	ქალი	
აპთანდილი	თინათინი	მეხალ ლამკვიდრებული
ტარიელი	ნესტან-ღარეჯანი	ნაკლებ ლამკვიდრებული

სქემა 4: მესამე და მეხუთე გავრცობა საწყისი მოდელისა: მუქი შრიფტი მიუთითებს, რომ სასიყვარულო ურთიერთობა ახლა უკვე არსებობს როგორც დამკვიდრებულ, ისე ნაკლებად დამკვიდრებულ წყვილებში.

ზემოთ მოცემული ანალიზი გულისხმობს გიპოლოგიას, რაც „ვეფხისტყაოსანს“ აკუთვნებს კურტუაზულ ლიგერატურას, მისი განვითარების ბოლო ეტაპზე. „ვეფხისტყაოსანში“ ორივე უჯრა, რომელიც ღიაა პირველ სქემაში, ივსება და სასიყვარულო ურთიერთობა უკვე ოთხივე წევრს შორის არსებობს. უფრო მეტიც, არა მარტო ნაკლებად დამკვიდრებული გმირი მამაკაცი, არამედ ნაკლებ დამკვიდრებული გმირი ქალიც მომწიფდება და დამკვიდრებული ხდება „ვეფხისტყაოსანის“ ბოლოს.

ქირმუნსკი კი (ქირმუნსკი 1946, გვ. 167) „ვეფხისტყაოსანს“ ათავსებს კურტუაზული ლიგერატურის საწყის ეტაპზე და ეპიკური

ლიგერატურის მერე, მსგავსად სტივენსონისა¹⁶ და ბაურასი. ქირმუნსკის არ მოჰყავს არგუმენტები თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, მაგრამ ეს არგუმენტები შეიძლება მოიძებნოს სტივენსონის, ღრონკესა და ბაურას ნაშრომებში: ეპიკური ლიგერატურა განადიდებს მეფის ოჯახის ან სამშობლოს ერთგულებას; კურტუაზული ლიგერატურა აქებს ერთგულებას საგროფოსადმი; „ვეფხისტყაოსანს“ ეს ყველაფერი გააჩნია და ამიგომ გარდამავალი უნდა იყოს კურტუაზულ და ეპიკურ ლიგერატურას შორის.

მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსანსა“ და ერთი მხრივ ეპიკურ, ხოლო მეორე მხრივ კურტუაზულ ლიგერატურას შორის სტრუქტურული განსხვავებებია, რაც მათ შორის გარდამავალი მდგომარეობის წინააღმდეგ მეტყველებს. „ვეფხისტყაოსანში“ პატრიოტიზმი და სიყვარული სტრუქტურულად განსხვავდება ეპიკური ლიგერატურის პატრიოტიზმისა და კურტუაზული ლიგერატურის სიყვარულისაგან. ჯერ ერთი, პატრიოტიზმი, ან უფრო ზოგადად, თავდადება სამშობლოს, სამეფოს ან ერის მიმართ მოცემულია ეპიკურ ლიგერატურაში, როგორც აქსიომა, სადაც გმირის მამოძრავებელი ძალა კეთილშობილიურია, მაგრამ ის სიმძაფრე არ გააჩნია, რაც სიყვარულზე დაფუძნებულს აქვს. „ვეფხისტყაოსანში“ პატრიოტიზმი მეორადია და აღმოცენებულია საგროფოს მიმართ თავდადებიდან (ბარამიძე, გვ. 37). პატრიოტიზმი ეპიკურ ლიგერატურაში დამოუკიდებელი თვისებაა: ორი გმირი მამაკაცი ახალგაზრდა მეომრებს წარმოადგენენ, რომელთა თავდადება შემოსაზღვრება ქვეყნის, სარდლისა და სხვა მეომრების მიმართ თავდადებით; „ვეფხისტყაოსანში“ კი ის არის გრძნობის გავრცობა-განვითარება, რომელიც იწყება ერთი პიროვნების სიყვარულით და შემდეგ მოიცავს მთელ კაცობრიობას: საგროფო, მეგობარი, თანამემამულე და ნებისმიერი ადამიანი. მეორე, სიყვარული, კურტუაზულ ლიგერატურაში ანალოგიურად შეზღუდული გრძნობაა; იგი საგროფოთია შემოსაზღვრული და არასოდეს გადაიმრდება მეორე მამაკაცთან დამოკიდებულებაში, რომელიც მეტოქეა. ეს კი არსებითად განსხვავდება თანამშრომლური ურთიერთობისაგან, „ვეფხისტყაოსანში“ რომ იჩენს თავს, სადაც მეორე გმირი ქალის

¹⁶ R. H. Stevenson, Epic: Georgian: VEPKHISTQAOSANI or THE MAN IN THE PANTHER SKIN, In: *Modern Encyclopedia of Russian and Soviet Literature* (Gulf Breeze, Florida: Academic International Press, 1977), pp. 220-29, p.226

არსებობა მეგოქეს მიჯნურად აქცევს. მიჯნურის მიმართ ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ საყრდენია პერსონაჟთათვის თანამოძმეთა, მეფეთა, სამობლოსა და, საბოლოოდ, მთელი პოზიტიური კაცობრიობის მიმართ დაინტერესებისა.

ქირმუნსკის გიპოლოგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პატრიოტიზმი ეპიკურ ლიტერატურაში იწყება, როგორც გმირის ჯგუფის მიმართ შემოფარგლული გრძნობა, შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში იცვლება გრძნობით, რომელიც საგრფოთია შემოსაზღვრული, პოემის ბოლოს განივრცობა და მოიცავს მთელ კაცობრიობას, და მერე ისევ დაიწროვდება კურგუამულ ლიტერატურაში იმ მოდელამდე, რაც „ვეფხისტყაოსნის“ შესავალშია. ჩვენ ვთავაზობთ უფრო მარტივ პიპოთეზას: გრძნობა, რომელიც ეპიკურ ლიტერატურაში გმირის ჯგუფითაა შემოსაზღვრული, კურგუამულ ლიტერატურაში ინდივიდუალიზდება ერთი ადამიანით, საგრფოთი შემოსაზღვრულ გრძნობად. „ვეფხისტყაოსანში“ ეს გრძნობა იზრდება, პირველად, როცა იგი მოიცავს სხვა მიჯნურს, მერე ყველას, ვინც კი გმირს ძიებაში ეხმარება – ძიებაში, რომელიც თავდაპირველად საგრფოს მიერაა ნაბრძანები; და „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს სიყვარული უკან მოიგოვებს გომობრივობასა და ნაციონალიზმს და მოიცავს ყველა პოზიტიურ ადამიანს.

დასკვნა

კურგუამულ ლიტერატურაში ერთი ქალისა და პირველად ერთი, ხოლო შემდეგ ორი მამაკაცის არსებობა წარმოშობს მეგოქეობრივ ურთიერთობას მამრობითი სქესის გმირებს შორის და აქცენტირებულია ნაკლებ დამკვიდრებული მამაკაცის სოციალური განვითარება. შემომაგებულ 1) მეორე გმირ ქალსა და 2) მეორე სამიჯნურ დამოკიდებულებას ახალი განზომილება შემოაქვს „ვეფხისტყაოსანში“, სადაც უკვე ყოველი გმირი მამაკაცი სხვადასხვა გმირ ქალთანაა დაკავშირებული. ამასთან, „ვეფხისტყაოსანში“ გმირები უკვე დარწმუნებულნი არიან თავიანთ საგრფოთა საპასუხო გრძნობაში. ასე რომ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ ზოგადი მომწიფების პროცესზე იმის მაგივრად, რომ საგრფოთა სიყვარული მოიპოვონ. ორი გმირი ქალის არსებობა გამორიცხავს მეგოქეობის აუცილებლობას, რაც შედეგად იძლევა მომწიფების უფრო ზოგად პროცესს, რომელიც იფარგლება მხოლოდ ერთი გმირით. „ვეფხისტყაოსანი“ აგრეთვე განიხილავს საკითხს, თუ რას გააკეთებენ

გმირები დამკვიდრების შემდეგ: ეხმარებიან მათ, ვინც ჯერ კიდევ არ არიან დამკვიდრებულნი და ახლენენ კურგუამული იდეალიდან იშვიათ გადახრებს. „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს კურგუამული ლიტერატურის უფრო განვითარებულ მოდელს. თუმცა ქირმუნსკის მოსაზრებით, იგი საწყისი ფორმაა. ორი ფაქტორი ხსნის კურგუამული ლიტერატურის მაქსიმალურ განვითარებას საქართველოში. პირველი, შოთა რუსთაველის გენია, რომელმაც გააცნობიერა, რომ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც ვითარდებიან და მომწიფებულნი ხდებიან, და მეორე – თამარ მეფის არსებობა, რომელიც, ალბათ, შოთას თვალწინ გადაიქცა პატარა ბავშვიდან მომწიფებულ მმართველად.

გ. კულეშანს ბეინენი

**ფარშიდ დელშადი –
„ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ ენაზე მთარგმნელი**

1999 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა ირანელი მოქალაქე, თეირანის ალაზე თაბათაბაის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილი ასპირანტი, რუსთაველის პოემის სპარსულ ენაზე მთარგმნელი ფარშიდ დელშადი. მის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი კომენტარებითურთ, რომელიც ფაქტობრივად რუსთაველის პოემის ერთადერთი სრული თარგმანია სპარსულ ენაზე, 1998 წელს გამოიცა თეირანში. ფარშიდმა სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რუსთაველოლოგიის სპეციალობით.

მკითხველს ვთავაზობთ ფარშიდ დელშადის მიერ ჩვენი ჟურნალისათვის დაწერილ მონათხრობს პოემის მისეული თარგმანის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორია ერთი ბუნდური შემთხვევის წყალობით დაიწყო.

თქვენს მონა-მორჩილს 4 წლის წინ, როცა „ალაზე თაბათაბაის“ უნივერსიტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის ასპირანტის საპატიო სახელს ვატარებდი, შემთხვევით ხელში ჩამივარდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული მარჯორი სკოტ უორდროპის მიერ სათაურით „Knight in the Panther's Skin“.

ამგვარად გავეცანი რუსთაველის შედევრს, რომელმაც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მიუხედავად ქართული ენის უცოდინრობისა, დავიწყე მისი ინგლისური ენიდან სპარსულად თარგმნა. თარგმანიდან თარგმნა, ცხადია, მრავალ საკითხს ეჭვქვეშ აყენებს და ამავე დროს, ნაწარმოების ღირებულება კნინდება.

საქმის უკეთ განვითარებისათვის დაუკავშირდი ბაგონ ჯემშიდ გიუნაშვილს (საქართველოს ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში), რათა მომეპოვებინა „ვეფხისტყაოსნის“ სხვა თარგმანებიც. ბაგონმა ჯემშიდმა გადმომცა „ვეფხისტყაოსნის“ ვენერა ურუშაძისეული ინგლისური, ნაზარ ხალილის არაბული, ასლამ ათჰამის ტაჯიკური და შალვა ნუსუბიძის რუსული თარგმანები, რამაც საშუალება მომცა შოთა რუსთაველის შედევრი მეთარგმნა შედარებითი მეთოდის გამოყენებით, რითაც თარგმანი უფრო უახლოვდება დელანს.

გარდა ამისა, ბაგონმა ჯემშიდ გიუნაშვილმა დიდი დახმარება აღმომიჩინა. მისი შემწეობით „ვეფხისტყაოსნის“ ბევრ ბუნდოვან საკითხს

ნათელი მოეფინა. ბოლოს და ბოლოს, 1998 წლის 21 მაისს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ვეფხისტყაოსანი“ - შოთა რუსთაველის შედევრი“. „ვეფხისტყაოსნის“ პროზაულ თარგმანს თან ახლდა გამოკვლევა-კომენტარები რუსთაველის მსოფლმხედველობის, პოეტიკის, ქალის კულტის, სპარსული ეპოსის ქართულზე ზეგავლენისა და სხვა საკითხების შესახებ. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ ხსენებული ნაწარმოები უფრო გასაგები და მისაწვდომი გამეხადა ირანელებისათვის.

დისერტაციის დაცვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ჯემშიდ გიუნაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით ირანში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული თარგმანი, რომელსაც ირანელი ხალხი დიდი მოწონებით შეხვდა. ყოველივე ამის შემდეგ ჩემთვის ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა ცდუნება ან დროებითი გატაცება აღარ იყო, არამედ უაღრესად საინტერესო და სანუკვარი მიზანი.

მცირე ხნის შემდეგ, როგორც პირველმა ირანელმა, რომელიც მოწადინებული იყო, შეესწავლა ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული ენის სრულიად უცოდინარმა, მაგრამ მისი სულშიჩამწვდომი ზიფაქიზისა და უნიკალურობის შემგრძნებმა ფეხი დავადგი ამ კურთხეულ მიწას, რათა რუსთაველის სამშობლოსა და მისი შედევრის დაბადების ადგილს უშუალოდ შევხებოდი.

ქართული ენის სირთულემ თავიდან შემაშინა და დამაფრთხო, მაგრამ ირანული ანდაზა გვასწავლის: „ვისაც ფარშავანგი სურს, ინდოეთში მოგზაურობის სირთულე უნდა გამოსცადოს“. ქართველებს ამ შემთხვევაში რუსთაველის აფორიზმი ახსენდებათ ხოლმე: „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ირანელი მკითხველისათვის დაწვრთვ რამდენიმე სტაგია, სპარსულად ვთარგმნე ორი წიგნი: 1. ნოდარ ნათაძისა და სარგის ცაიშვილის „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, 2. ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი მ. ბაურას „შთაგონება და პოეზია“ („Inspiration and Poetry“). სპარსულად თარგმნილი მაქვს რუსთაველის 100 აფორიზმი და რჩეული ბრძნული გამონათქვამები. აგრეთვე, 1001 ქართული ანდაზა (ეს უკანასკნელი ქართველ ირანისკე ქალბაგონ თეა შურღაიასთან ერთად). აღნიშნული თარგმანები ჩემი პირველი ნაბიჯებია ქართველოლოგიაში. მათ მალე გაეცნობა ირანელი მკითხველი.

შტაუმი ხოტივარი-იუნგერი და მისი ბროშურა „ქართველები ბერლინში“

რენს წინაა 1999 წელს ბერლინში გერმანულ ენაზე გამოცემული 80-გვერდიანი წიგნაკი, დაბეჭდილი გერმანიის სენატის უცხოეთის განყოფილებისა და ფირმა „Siemens“-ის ფინანსური მხარდაჭერით. მისი ავტორია ქალბატონი შტეფი ხოტივარი-იუნგერი – ბერლინის კუმბოლდგის უნივერსიტეტის სლავისტიკის ინსტიტუტის უფროსი ასისტენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ამავე დროს იგი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში ქართული ენის პედაგოგადაც მოღვაწეობს.

ავტორი ბროშურის შედგენისას საგანგებოდ შემოიფარგლა მხოლოდ ბერლინში არსებული და მოძიებული მასალებით. მან მადლიერებით მოიხსენია ბროშურის რედაქტორის იონ რიოქეს (რომელიც ამ სერიის სხვა წიგნების რედაქტორიცაა) და თავისი მეუღლის, ბერლინისა და ბრანდენბურგის ქართველთა სათვისტომოს ხელმძღვანელის, არჩილ ხოტივარის კონსულტაციები. ბროშურა 3000-ანი გირაკითაა გამოცემული.

ქალბატონი შტეფი უკვე დიდი ხანია მუშაობს ქართულ მასალებზე. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროშია ქართული ლიტერატურის რეცეფცია გერმანიაში. იგი სტუდენტობის დროიდანვე რუსულ და გაჯიკურ ენებთან ერთად სწავლობდა ქართულს, რომელიც მალე მისი ძირითადი სპეციალობა გახდა. სადიპლომო ნაშრომად მან წარადგინა „კონსტანტინე გამსახურდია და მისი რომანი „დიონისეს ღიმილი“. ამ თემაზე შტეფი ხოტივარი-იუნგერმა 1979 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ამის შემდეგ იგი მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე – „ქართული ისტორიული რომანი“, რომელშიც განიხილა მ. ჯაფახიშვილის, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, ჭ. ამირეჯიბის, ო. ჭილაძის შემოქმედება. ნაშრომის დაცვა შედგა 1994 წლის მარტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დასახელებული ბროშურის გარდა, ქალბატონი შტეფი ავტორია რამდენიმე წიგნისა: მან შეადგინა XX საუკუნის ქართული მოთხრობის ანთოლოგია, რომელიც გამოიცა გერმანიაში 1984 წელს; 1986 წელს გერმანულად გამოქვეყნდა მიხეილ ჯაფახიშვილის „არსენა მარაბდელი“ და „კვაჭი კვაჭანგირაძე“, რომელთა ბოლოსიგყვაობის ავტორი თვითონაა. „კვაჭი კვაჭანგირაძე“ 1991 წელს ხელმეორედ

გამოიცა. მისი სადოქტორო დისერტაცია 1994 წელსვე ცალკე წიგნადაც გამოიცა. გარდა ამისა, იგი ავტორია რამდენიმე სტატიისა კ. გამსახურდიას, მ. ჯაფახიშვილის, ნ. დუმბაძის, ო. ჭილაძის შემოქმედებათა შესახებ, აქვეყნებს გრ. რობაქიძის გერმანიაში ცხოვრების ამსახველ მასალებს.

ბროშურაში „ქართველები ბერლინში“ დაინტერესებული მკითხველი მრავალ საყურადღებო ინფორმაციას იპოვის. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს 1863 წლიდან მოყოლებული დღემდე. ავტორი ორ ნაწილად ჰყოფს თავის ნაშრომს: „ქართველები ბერლინის ისტორიაში“ და „ქართველები ბერლინის უახლეს ისტორიაში“.

პირველ ნაწილში საგანგებო ყურადღება ეთმობა საქართველოსა და გერმანიას შორის ადრეულ კონტაქტებს, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ასახვას გერმანიაში („საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღიარება და ქართული საელჩო ბერლინში“, „ქართველი ემიგრანტები ბერლინში და ქართული გაზეთების გამოცემა“, „ქართველები მეორე მსოფლიო ომში – ქართველი ჯარისკაცების განთავისუფლება გყვეობიდან“, „იაკობ ჯუღაშვილის გრაფიკული ბედი“). აქვე სათანადო ყურადღება ექცევა ამ პერიოდის კულტურულ კონტაქტებსაც – მოთხრობილია ბერლინის უნივერსიტეტებში სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტებზე, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძისა და გრიგოლ უფრაძის ბერლინში ცხოვრების წლებზე, საქართველოსადმი მიძღვნილ გამოკვლევებზე ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში, ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ წაკითხულ ლექციებზე, ამ პერიოდში ქართული თხზულებების გამოცემაზე გერმანიაში.

ბროშურის მეორე ნაწილი უმთავრესად ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას ეხება. აქ წარმოდგენილი მასალები მოგვითხრობს ქართული ლიტერატურის თხზულებების გერმანიაში გამოცემისა და ბერლინის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული წიგნების შესახებ; ქართული ფილმების ჩვენებაზე ბერლინში; ქართული კულტურის დღეებზე, გამოფენებსა და ქართული კულტურის მოღვაწეთა გასტროლებზე... საგანგებო ქვეთავი ეძღვნება ბერლინის, როგორც კულტურის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრის წარმოჩენას; წარმოდგენილია გერმანიაში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა პორტრეტები. ავტორი საგანგებოდ

მოგვიტხრობს 1993 წელს გერმანიაში ელუარდ შევარდნაძის ვიზიტის შესახებ. ცალკე სტატია ეძღვნება, როგორც შტეფი ხიგივარი-იუნგერის უწოდებს, „ქართველ-გერმანელი მწერლის“, გივი მარგველაშვილის ცხოვრების ისტორიას, მის არაჩვეულებრივ ბელს.

ბროშურაში წარმოდგენილი საინტერესო მასალა შედარებით სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართულ-გერმანული ისტორიული და ლიტერატურული კონტაქტების შესახებ განსაზღვრულ ქრონოლოგიურ პერიოდში – 1863 წლიდან დღემდე. ამავე დროს, საგანგებოდაა აღსანიშნავი ისიც, რომ ავტორმა მოიძია და გამოაქვეყნა აქამდე სრულიად უცნობი ლიტერატურული, ისტორიული და ფოტოგრაფიული მასალა, რომლის მოპოვებაც გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით – ემიგრანტების შესახებ. აქ არის საინტერესო ცნობები 1918 – 23 წლებში საქართველოს საელჩოს შესახებ ბერლინში, რომელიც ავტორმა ბონში საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მოიძია; ყურადღებას იქცევს ვრ. რობაქიძის გერმანიაში ცხოვრების დროინდელი აქამდე უცნობი მასალები, რომლებიც, ავტორის თქმით, ბროშურის მიზანდასახულობას სცილდებოდა და ამის გამო სრულად ვერც კი აისახა მასში, და ფოტო, რომელიც პირველად ქვეყნდება; აქვე წარმოდგენილია აგრეთვე კ. გამსახურდიას სტუდენტობის დროინდელი ლექსების ახალი თარგმანებიც.

სასიამოვნოა, რომ ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა სფეროში შეიქმნა ასეთი ნაშრომი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ნანა ინგოროყვა

THE NATIONAL LIBRARY OF THE GEORGIAN PARLIAMENT

The National Library of the Georgian Parliament – a great temple of Georgian learning and culture is housed in three remarkable buildings with Georgian carving, in the heart of Tbilisi. This national depository of Georgian books counts more than a century and a half of existence. Its holdings were amassed over several centuries: copies possessed by Georgian princes, private collections of outstanding persons, books with seals of libraries now belonging to history, valuable editions sent from well-known seats of learning outside of Georgia, rare manuscripts, including the 9th-century Jerusalem Canonary known in the literature as the Lagurgka Lectionary, and a 13th-century manuscript Gospel, the private archives of Platon Ioseliani, Niko Nikoladze, and others, autographs of Aleksandre and Ekaterine Chavchavadze and letters of the Wardrops, Razikashvilis and others. The library boasts Ilia Chavchavadze's private library.

The library is formed of the holdings of the Tbilisi Public Library, founded in 1846, that of the Society for the Spread of Literacy among the Georgians (1879), the Parliamentary Library established in 1918, and others. Here is the richest collection of literature on Georgia and the Caucasus, with such rare editions as the first Georgian printed book, *Georgian-Italian Dictionary*, issued in 1629 at the printing-press of Catholic missionaries in Rome, *The Georgian Grammar* by the missionary Franciso-Maria Maggio in Rome, 1670; the complete collection of the editions of the printing-press set up in Tbilisi by Vakhtang VI in 1709, including the Gospel (1709); another copy of this edition is preserved at the Library of Tbilisi State University; the first printed edition of Rustaveli's *The Man in the Panther's Skin*, issued at Vakhtang VI's printing-press, the editions of Erekle II, King Solomon II of Imereti, and Atanase Amilakhvari. Alongside these notes should be taken of the Bible in folio printed by Prince Bakar in Moscow (1743), referred to as Bakar's Bible. The national Library of the Parliament owns a rich collection of periodicals, music and note

collection of periodicals, music and note editions, documents bearing audio-visual information, engravings, prints, and cartographic *fonds*. Today the library holdings number up to 15 million printed units.

The Georgian National Library has traversed a long and interesting path. The democratization processes occurring in the country set new demands to the Library. Its structure has changed. At present six departments with their centers, subdivisions, sectors and groups function at the Library.

The Department of Georgian Studies (the former Department of the Study of Local Lore) was set up in 1936. At present it is under the Department of National Heritage, its basic work being determined by the following priority directions: to give broad coverage to the nation's intellectual potential in the spheres of politics, economics, history, culture and scholarship and to perfect Kartvelological research work.

The *fonds* of the Department of Kartvelology boasts up to 70 thousand titles of rare editions on the Caucasus and Georgia, in Georgian and foreign languages. This *fonds* was formed of the private collections of Prof. Giorgi Gekhtman and of the well-known Caucasologists Evgeny Veidenbaum and Mikheil Tamamshev; in later years these collections were augmented by the private libraries of various eminent public figures, most of them being preserved as separate *fonds*. The foreign editions about Georgia and the translations of Georgian authors into foreign languages are allotted a special place in the Library.

Of particular importance is the rich *fonds* of periodicals printed in Georgia and the Caucasus: comprehensive till 1921, and a selection of the subsequent period, with account of their scholarly profile.

The Department of Kartvelology has been carrying on major scholarly work for many years, viz. on the compilation of an analytical bibliography of periodical editions – a ready reference for every scholar. An analytical bibliography of Georgian magazines has

already been issued: from 1852 to 1905 inclusive (in three volumes); of Georgian newspapers: from 1864 to 1904 inclusive (in six volumes); an analytical bibliography of the periodicals of subsequent years is ready for the printer, and work is continuing. From the year 2000 the Department will resume the publication of the annotated bibliographical index *Georgia*; along with new books published on Georgia, it will reflect interesting magazine articles as well. Besides the main catalogues, the Department has special files: of obituaries, reviews, pen names, photographs, Georgians residing abroad, and so on.

Foreign Kartvelologists have worked at the Department at various times: Jaromir Jedlička (Czechoslovakia), Mikheil Kvaliashvili (Poland), Hugo Huppert and Johanna Shiegler (Austria), Lajosz Tardy (Hungary), Oliver Reisner, Heinz Fähnrich, Jürgen Gärber; the missionary Olaphus Barkowsky, Christian Chauves and Brigitta Schrage (Germany); Luigi Magarotto and Luca Taufer (Italy); Steven Jones and Alice Harris (the USA); Lawrence Broers and the writer Peter Nasmyth (Britain); Ito Junji (Japan), and others.

For forty years international book exchange served as an important source of replenishing the Library, esp. the Kartvelology Department, with foreign literature. Bilateral relations were established with up to 45 partners in some 20 countries. Contacts with foreign Kartvelologists were particularly important and fruitful. Almost all the literature, published abroad on Georgia, arrived through this source. A major contribution to this was made by well-known Kartvelologists: David Lang, David Barret, Julius Assfalg, Leah Flury, Hans Vogt, Michel Tarchnishvili, Gerard Garitte, Giuseppe Tucci, Leon Buchar, Fridrik Tordarson, Victor Nozadze, Kita Chkhenkeli, Shalva Beridze, Ipei Fukuro, Mikheil Kvaliashvili, Pape and Lilly Gegelashvili, and many others.

Owing to the developments in Georgia in the past decade, international book exchange came to a halt, resulting in considerable lacunae in the replenishing of the Labrary with foreign books,

including the Kartvelological Department. The growing demands of the modern reader fail to be met. Acquiring new literature is one of the principal objectives of the Library, for the generation of the 21st century comes onto the scene with a novel vision, novel insight into the course of developments. Hence, scholarly study and analysis of foreign material will contribute to an improvement of the administration of the state, and the building of a free and democratic republic.

The main aim of the group set up at the Department of Kartvelology for relations with our compatriots residing abroad and with foreign Kartvelologists is to establish contacts and continue cooperation with the associations of Georgians abroad, Georgian seats, Kartvelologists active abroad, publishing-houses; to determine the desiderata in the foreign Kartvelological literature and its replenishment through mutual cooperation, as well as to receive current Kartvelological editions.

The Kartvelology department is ready to systematically accept the orders of partners on servicing them with the Library's *fonds*: bibliographic, written sources, the index of Georgian literature issued in Georgia, and so on.


The Board of the National Library calls on our compatriots and Kartvelologists to help as far as possible in filling the desiderata of the Library and in setting up new *fonds*.

Levan Berdzenishvili


Director General of the National Library

ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა -2000

ქართველოლოგიურ საზაფხულო სკოლას უკვე 10 წლის ისტორია აქვს. პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტები, ასპირანტები და მეცნიერები საზაფხულო სკოლაში 1990 წელს ეწვივნენ. მაშინდელი ქართველოლოგიური სკოლის მონაწილენი დღეს წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა



ქვეყანაში საქართველოს კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკასა და ეკონომიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დარგებში. ბევრი მათგანისათვის სწორედ ამ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა გახდა მიზეზი იმისა, რომ საკუთარი ცხოვრების გზა საქართველოსათვის დაეკავშირებინა. მხოლოდ ერთი მაგალითი: საქართველოს



ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიჩიგანის უნივერსიტეტში 1997 წელს დაცული 850 გვერდიანი სადოქტორო დისერტაცია ინგლისურ ენაზე: *Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and the Architects of the Written Georgian Past*, Vol. I ("ისტორიის წარმოდგენა გზაჯვარედინებზე: სპარსეთი, ბიზანცია და წერილობითი ქართული წარსულის შემქმნელები." ტ. I), რომლის ავტორია სტივენ ჰაროლდ რაპი (Stephen Harold Rapp). აი, რას წერს სტივენ რაპი ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილ ერთ-ერთ მის უახლეს წერილში ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლის

დამფუძნებელსა და მის უცვლელ ხელმძღვანელს პროფ. ელგუჯა ხინთიბიძეს:

“And in closing, allow me to say a few words about the 1990 Summer Kartvelology School of which I was a part. Though the conditions were difficult, I gained a tremendous knowledge and love for Sakartvelo through the experience. Had I not been invited to participate in it, might very well be studying something else at the moment... Thanks so much...” (“... და ბოლოს, ნება მომეცით, რამდენიმე სიტყვა ვთქვა 1990 წლის საზაფხულო სკოლის შესახებ, რომელშიც მე ვმონაწილეობდი. თუმცა პირობები მძიმე იყო, მე შევიძინე უზარმაზარი ცოდნა და ამ გამოცდილების გამო შევიყვარე საქართველო. მე რომ მასში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არ ვყოფილიყავი, სავსებით შესაძლებელია, ამჟამად სხვა დარგის კვლევით ვყოფილიყავი დაკავებული... უღრმესი მადლობა...”)

მიმდინარე წლის ზაფხულში (10 ივლისიდან 15 აგვისტომდე) საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა მეშვიდედ შედგა. მისი მონაწილე იყო 10 უცხოელი მოქალაქე: იან კოლვინი, ანტონი სტობარგი, ემილი ჰილი, ენდრიუ ოქსლეი (დიდი ბრიტანეთი), სტეფან ვერჰელსტი (ბელგია), იზაბელ დიუმა (საბერძნეთი), კატარინა ნილსონი, იოჰანა პეგერსონი (შვედეთი), საჩიკო იოკოი (იაპონია), ჯული ჯორჯი (აშშ). გთავაზობთ ზოგიერთი მათგანის შთაბეჭდილებას, ჩაწერილს თბილისში, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრში საზაფხულო სკოლის დამთავრების დღეს.

ჯული ჯორჯი, აშშ. 27 წლის, ბოსტონის უნივერსიტეტი, ტეხასი.

საქართველოში პირველად ვარ და იმედი მაქვს არა უკანასკნელად. ვარ სტუდენტი ლოქტორანტი, ვსწავლობ შედარებით პოლიტიკას. სპეციალიზაციით საქართველო – ეთნიკური კონფლიქტები და ურთიერთობები. ჩემი სადისერტაციო თემაც, ვფიქრობ, ეს იქნება.

საქართველოსა და ქართული ენის შესახებ პირველად ჩემს უნივერსიტეტში შევიტყვე. ქართული გრამატიკის საფუძვლებსაც აქ გავეცანი ქალბატონ დოდონა კიზირიას ხელმძღვანელობით.

ქართული ენა ძალიან ძნელია, მაგრამ – ძალიან საინტერესო. ალბათ, სწორედ ეს სიძნელე ანიჭებს მას ასეთ დიდ მიმზიდველობას. ამიტომაც გადავწყვიტე მისი კარგად შესწავლა. საზაფხულო სკოლა კი სწორედ ის გახლდათ, რაც მჭირდებოდა. პოდა, აი მეც აქ ვარ. გული მწყდება ასეთი შესანიშნავი ზაფხული რომ თავდება და ჩვენი დაცილების დრო ახლოვდება. არასოდეს დავიფიქრებ აქაურობას. თქვენ, ყველა ისეთი შესანიშნავი, არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული აღმოჩნდით, რომ აღფრთოვანებული ვარ. აუცილებლად დავბრუნდები. ოთხი-ხუთი თვით მინდა ჩამოსვლა. მინდა უკვე მიღებული ცოდნის გამტკიცება, იმ სფეროს უკეთ შესწავლა, რაც ჩემს მთავარ ინტერესს წარმოადგენს. აქ ნამდვილად შევძლებდი ცხოვრებას. არ გამიჭირდებოდა, ნოსტალგია არ გამიჩნდებოდა. თანაც, ირგვლივ სულ მთებია. ულამაზესი ბუნება. შეგიძლია ზღვაში იცურაო და თან მთებს უყურო, მართლა ფანტასტიურია.

იზაბელ დიუმა, საბერძნეთი. 41 წლის, ფრანგული ენის მასწავლებელი.

მე გამიჯანუბრებული ვარ საქართველოზე. აქ უკვე მეოთხედ ვარ. განათლებით ლინგვისტი გახლავართ. დავამთავრე ლინგვისტიკის ფაკულტეტი საბერძნეთში, ვასწავლი ფრანგულს.

ხანდახან სიტყვები უძლურია ემოციის გადმოსაცემად. ერთი ნამდვილად შემძლია ვთქვა – მე მიყვარს საქართველო, ქართველები, ქართული ენა. ჩემი მეუღლე აქ მუშაობს, ამიტომ იმედი მაქვს ხშირად ჩამოვალ ხოლმე.

უღრმესი მადლობა ყველას, ვინც ამდენი მოთმინება, ყურადღება, სიყვარული და უდიდესი პროფესიონალიზმი გამოავლინა ჩვენს მიმართ საზაფხულო სკოლის მანძილზე. მადლობას ვიხდით.

ენდრიუ ოქსლეი, ბრიტანეთი. 55 წლის, ჟურნალისტი BBC-ს კორესპონდენტი.

ჟურნალისგად 28 წელიწადი ვიმუშავე. ამჟამად აღარ ვმუშაობ და გადავწყვიტე ენების შესწავლა. იტალიური, რუსული, გერმანული. დავიწყე მოგზაურობა. ვიყავი რუსეთში და უკრაინაში და ბოლოს საქართველოს მონახულებაც გადავწყვიტე. საკმაოდ ხანგრძლივად საბჭოთა კავშირის შესახებ ცალმხრივი ინფორმაცია არსებობდა. თითქმის არაფერი ვიცოდით საქართველოს შესახებაც. ახლა ეს პრობლემა აღარ არსებობს. ინფორმაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნების შესახებ მისაწვდომია. შესაძლებელია ჩამოსვლა, მონახულება, ხალხის გაცნობა. და მეც სწორედ ამ ინტრესმა ჩამომიყვანა აქ. გადავწყვიტე ქართული ენის შესწავლა, რადგან ენის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ბოლომდე გაცნობა, მისი კულტურის, აზროვნების, მენტალიტეტის, სულიერი სიმდიდრის გაგება. ჩემი მოლოდინები გამართლდა. აღფრთოვანებული და გაკვირვებული ვარ. მართლაც საინტერესო მასალაა მომავალი სამუშაოსათვის. ალბათ დავწერ კიდევ. ჩემი აზრით, საქართველოს შესახებ უფრო მეტმა უნდა შეიგყოს. შესაბამისად მეტი დაინტერესება და კონტაქტებიც დამყარდება. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყნისათვის.

საჩიკო იოკოი, იაპონია. 27 წლის, ოსაკას უცხო ენათა უნივერსიტეტი,

III კურსის ლექტორანტი, რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ვმუშაობ გიპოლოგიაში. მას შემდეგ რაც გავეცანი გ. კლიმოვის მონოგრაფიას, ქართულით დაინტერესდი და გადავწყვიტე მისი შესწავლა. საზაფხულო სკოლის შესახებ ჩემს უნივერსიტეტში შევიტყვე და ჩამოსვლა გადავწყვიტე. ჩემმა გადაწყვეტილებამ ყველა გააოგნა: მშობლები, მეგობრები, ჩემი პროფესორები. საქართველოს შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენაა ჩემს ქვეყანაში. თითქმის არაფერი ვიცით და რაც გვსმენია, ერთადერთი ის არის, რომ ჯობია არ მოხვდე იქ. ეთნიკური კონფლიქტის, არეულობის, არასტაბილურობის და უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების ზონაა. თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, აღფრთოვანება, სიხარული, როცა არც ერთი

გემოაღნიშნული პუნქტი არ გამართლდა, კიდევ მეტიც. უზარმაზარი სიტბო და სიყვარული, უანგარო სიკეთე და უსამღვრო სტუმართმასპინძლობა, ხანდახან სრულიად მოულოდნელი და უცხო. არაჩვეულებრივი ხალხი, მშვენიერი ქალაქი და ქვეყანა. ჩვენი საზაფხულო სკოლის წყალობით თითქმის მთელი საქართველო შემოვიარეთ. გავეცანით დასავლეთს, აღმოსავლეთს, სამცხე-ჯავახეთს – ამ ულამამეს, აბსოლუტურად განსხვავებულ მხარეს. საერთოდ, საქართველოს კუთხეები განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ფანტასტიური საჭმელი და სუფრის კულტი. აღფრთოვანებული ვარ თქვენი ქვეყნით.

და ბოლოს, ჩემი მიზანი, რისთვისაც აქ ჩამოვედი – ქართული ენის შესწავლა. ქართული მართლაც რთულია, მაგრამ ძალიან საინტერესო. ეს დრო ჩემთვის ნამდვილად არ აღმოჩნდა საკმარისი. კიდევ მინდა ჩამოსვლა. ცოდნის გაუმჯობესება. ფინანსური მხარე თუ მოგვარდა, აუცილებლად ჩამოვალ.

კაგარინა ნილსონი, შვედეთი. 25 წლის სტუდენტი. სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა განყოფილება.

საქართველოში ჩემი ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი იყო მშვიდობისა და კონფლიქტის საკითხების შესწავლა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ქვეყნის გაცნობა და მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის გაგება შეუძლებელია ენის გარეშე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიური სკოლის საზაფხულო სკოლის საშუალებით გადავწყვიტე ქართული ენის შესწავლა. გამიჭირდა, მაგრამ ჩვენი მასწავლებლების შემწეობით, დაულაღავი შრომით ცოტა მაინც ვისწავლე.

აღფრთოვანებული ვარ საქართველოთი. არასოდეს არაფერი მსმენია ამ ქვეყნის შესახებ. მქონდა მხოლოდ ერთი ინფორმაცია, რომ იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა იყო და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა. აბსოლუტურად მოულოდნელად აღმოვჩნდი ფანტასტიურ ქვეყანაში. არაჩვეულებრივი ბუნება, შესანიშნავი, უგემრიელესი საჭმელი და უდიდესი სიყვარულით და სტუმართმოყვარეობით

აღსავსე ხალხი. ჩემი ცხოვრება გარკვეულწილად შეიცვალა. მეგობრები შევიძინე, არაჩვეულებრივი ხალხი გავიცანი. ულამაზესი მთები ვნახე. დიდი გეგმები მაქვს. თუ მოხერხდა, მინდა სასწავლებლად აქ გადმოსვლა. უკეთ ვისწავლიდი ენას, უკეთ გავერკვეოდი იმ საკითხებში, რაც ჩემი ინტერესების სფეროს მოიცავს. და საერთოდ, რატომ არ უნდა იცხოვროს ადამიანი იქ, სადაც მას მოსწონს, სადაც უკეთ გრძნობს თავს?!

იოანა პეტერსონი, შვედეთი. 23 წლის, სტუდენტი. უფსალას უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიქტების განყოფილება.

საქართველოს შესახებ ძალიან ცოტა ინფორმაცია მქონდა და ისიც მხოლოდ თეორიული. ვიცოდი, რომ საქართველო მშვიდობისა და კონფლიქტებს ერთ-ერთ განსაკუთრებულ მონად ითვლებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. ამიტომ, გადავწყვიტე ჩამოსვლა და, რაც მთავარია, ენის შესწავლა. ჩემი ამრით, ენის გარეშე ქვეყნის გაგება შეუძლებელია. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა კი ენის შესწავლის, კულტურის, ხელოვნების გაცნობისა და ქვეყნის გაგების საუკეთესო საშუალებაა.

აქ ჩამოსვლა რომ გადავწყვიტე, ჩემი ახლობლები, მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები შეშფოთდნენ. მაგრამ მათი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. რამოდენიმე დღეშივე მივწერე მათ და ვუთხარი, რა ქვეყანაცაა საქართველო. რომ ხალხი აქ ძალიან თბილია და სტუმართმოყვარე. რომ ასეთი მოთმინება, გულისხმიერება, სიყვარული სხვაგან არსად მინახავს.

საქართველო მართლაც ძალიან საინტერესოა. საინტერესოა მისი ენა, კულტურა, ხალხი და ბოლოს, პოლიტიკა. თუ რამენაირად მოხერხდა ჩემი დაფინანსება, მომავალ წელსაც აუცილებლად ჩამოვალ.

ემილი ჰილი, ბრიტანეთი. 27 წლის, ბრიტანეთის ბიბლიოთეკის თანამშრომელი – რედაქტორი.

საქართველოს შესახებ პირველად 1996 წელს ედინბურგის ფესტივალზე წარმოდგენილი სპექტაკლის “მეფე ლირის” ნახვის

შემდეგ შევიტყვე. წარმოდგენამ დაუეწიარი შთაბეჭდილება დატოვა, იმდენად აღმაფრთოვანა, რომ გადავწყვიტე, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, მომენახულებინა საოცარი ემოციის, ტემპერემენტის, კულტურისა და ხელოვნების ქვეყანა.

ლონდონში მყავდა შესანიშნავი მასწავლებელი მაია ნავერიანი და მისი წყალობით შევისწავლე გრამატიკის საფუძვლები. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ბოლოს საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე. ეს ჩემი მეორე სტუმრობაა აქ. პირველად 1998 წელს ვიყავი. და როგორც პირველად, ისე ახლაც აღფრთოვანებული ვარ ამ ქვეყნით. იმედი მაქვს, მომავალ წელსაც შევძლებ ჩამოსვლას.

მინდა მაღლობა გადაეუხადო საზაფხულო სკოლის ორგანიზატორებს, ჩვენს მასწავლებლებს უსამღვრო მოთმინებისა და დიდი სიყვარულისათვის.

იან კოლვინი, ბრიტანეთი. 29 წლის, ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ვარ ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორანტი. ვსწავლობ ისტორიას. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს (ეგრისი-ლაზიკა) აღრეული შუასაუკუნეების პერიოდს – კავკასიაში ქრისტიანობის შემოღებიდან ისლამის შემოსვლამდე. ასე რომ, ქართული ენის შესწავლა ჩემთვის მეგად მნიშვნელოვანი გახლავთ. საქართველოში მესამედ ვარ და ისევ და ისევ აღტაცებული ვრჩები.

მომავალი გეგმები ძალიან სერიოზულია. უპირველეს ყოვლისა, სექტემბრიდან მომიწევს ახალი კურსის წაკითხვა – საქართველოს ეთნოგრაფიის შესახებ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმედი მაქვს, საქართველოში მიღებულ სიყვარულს და სითბოს ჩემს სტუდენტებამდე მივიტან და მათაც იგივე გრძნობას აღვუძრავ, რაც მე გამაჩნია ამ შესანიშნავი, ულამაზესი, უდიდესი ისტორიისა და კულტურის ქვეყნის მიმართ.

საუბარი ჩაიწერა
ეკა გაგოშიძემ

EDITORIAL

The Centre for Kartvelian Studies humbly asks you to become the reader of our issue, **THE KARTVELOLOGIST**.

The editorial board hopes to provide you with regular information about the new developments in Kartvelology and about the political situation in the country and create all the conditions for you to collaborate with us.

We would be grateful if you circulate this information to all students and scholars interested in problems of Kartvelology, or who desire to support our undertaking.

Thank you in advance.

Editorial Staff

© "KARTVELOLOGIST"
Fund for Kartvelian Studies
I, Chavchavadze Ave., TSU
380028 Tbilisi, Georgia

Tel.: +(995 32) 290833,
Fax: +(995 32) 252501,
E-mail: kartvcentre@hotmail.com
khintibidze@access.sanet.ge
<http://www.itic.org.ge/kartvfund>

Photos:

- p. 5 The statue of Parnavaz in Tbilisi.
- p. 16, 18, 22 Newly discovered Georgian inscription from Nekresi.
- p. 69 The participants of the Summer School for Kartvelian Studies.

Publishing Group
Eka Kutateladze
Eka Gagoshidze
Maka Kharebava